გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N30(9246) | 31 ოქტომბერი . 2017 წელი | ფასი 50 თეთრი

არჩევნებზე არჩევნების შემდეგ 3

საჩივრები 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში 2

5 განუზომელი ნდობა, დიდზე დიდი პასუხისმგებლობა

მას არ უცხოვრია სამშობლოზე უკეთ

10

სამ ნოემბერს, ექვსი წლის წინ

“22 წლის ბიჭებს ერთსულოვნებამ ბევრი შეგვაძლებინა” 6

8 სამტრედიელი ნორჩი ხელოვანები ევროპის ვარსკვლავურ გზაზე

ახალი ნათქვამი ძველი ამბავი

საჩივრები 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში

2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების დღიდან, კენჭისყრის დღის ჩათვლით, 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში 16 საჩივარი დაფიქსირდა. საოლქო-საარჩევნო კომისიამ 16-ვე ადგილზე განიხილა.

საჩივრები ძირითადად ეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას, საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის მიღება-ჩაბარების პროცედურას, კენჭისყრის დღის შემაჯამებელ ოქმს.

54-ე სამტრედიის საოლქო-საარჩევნო კომისიამ განიხილა ყველა ზემო აღნიშნული საჩივარი და მიღებული იქნა სხვადასხვა სახის გადაწყვეტილება, კერძოდ, საჩივრების დაკმაყოფილები-არდაკმაყოფილების ან განუხილველად დატოვების შესახებ.

ამ დღეებში რაიონულ სასამართლოში საარჩევნო ბლოკ ''ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' წარმომადგენლის, ფრიდონ შენგელიას საჩივარი შევიდა. მან სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს, სადაც სამტრედიის საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული №37/2017 განკარგულების ბათილად ცნობას, ასევე, 43-ე საუბნო მერის კენჭისყრის დღის შემაჯამებელი ოქმის ბათილობის საკითხის ირგვლივ 54-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტის გაუქმებასა და 43-ე საუბნო კომისიის პასუხისმგებელი პირების, თავმჯდომარის, მდივნის 87-ე მუხლით, თითოეულის 500 ლარით დაჯარიმებას ითხოვდა.

რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ფრიდონ შენგელიას სარჩელი. მოსარჩელე მხარემ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ამ უკანასკნელმა არ დაუკმაყოფილა და ძალაში დატოვა სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

ნინო ნანიტაშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულომ ბიუჯეტში ცვლილებებს მხარი დაუჭირა

26 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში 4 საკითხი იყო განსახილველი. მათ შორის: ააიპ ''სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2017 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'' მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. კერძოდ, კომუნალურ გაერთიანებაში საწვავის ხარჯი გაიზარდა 40 000 ლარით.

ცვლილება შევიდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2016 წლის 26 დეკემბრის განკარგულებაში. სოციალური პროგრამის ხარჯს 50 000 ლარი დაემატა. ეს უკანასკნელი შემდეგნაირად განაწილდა: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება გაიზარდა 35 000 ლარით, ხოლო ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში _ 15 000 ლარით.

ასევე გაიზარდა გარე განათების თანხა 40 000 ლარით. ზემო ჩამოთვლილმა ცვლილებებმა შესაბამისი ასახვა ჰპოვა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

26 ოქტომბრის საკრებულომ მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში ცვლილებას: ფრაქციის დაშლის გამო ილია მჟავია გაყვანილი იქნა ბიუროს შემადგენლობიდან.

ნინო ნანიტაშვილი

სამინისტროს ექსპერტიზები და აქტიური ბრძოლა მავნებლის წინააღმდეგ

ნინო ნანიტაშვილი

27 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეხვედრა გამართა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა იმერეთის რეგიონში მცხოვრებ თხილის მწარმოებლებს თხილის ბაღის გაშენებისა და მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიები, დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებები, ასევე თხილის სექტორში არსებული ვითარება, თანადაფინანსებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში არსებული სახელმწიფო პროგრამები და საექსპორტო პოტენციალი გააცნეს. განსაკუთრებული ყურადღება დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ მავნებელთან, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებებს, მათ შორის შესაწამლი პრეპარატის სწორად გამოყენების საკითხებს დაეთმო.

მეწარმეებთან გამართულ შეხვედრას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, რევაზ ასათიანი, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე, ზურაბ ლიპარტია და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თენგიზ კალანდაძე ესწრებოდნენ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, რევაზ ასათიანმა სახელმწიფოს მიერ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში გატარებულ ღონისძიებებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

''ფერმერების ჩართულობის გარეშე სახელმწიფო აზიურ ფაროსანას ვერ გაანადგურებს. აუცილებელია, მათ მავნებლის მიერ მიყენებული ზარალის მასშტაბები გაითვალისწინონ, ასევე გაითვალისწინონ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ გაცემული რეკომენდაციები და აქტიურად ებრძოლონ მავნებელს''. _ განაცხადა რევაზ ასათიანმა.

იმერეთში მცხოვრები ფერმერების განცხადებით, მსგავსი შეხვედრები უმნიშვნელოვანესია, რადგანაც აზიური ფაროსანა ახალი მავნებელია და ბრძოლის ღონისძიებებზე სრულყოფილი ცოდნაა საჭირო.

მსგავსი შეხვედრები ჯერ ზუგდიდისა და სენაკის მუნიციპალიტეტებში შედგა, იმერეთის რეგიონის შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები აჭარასა და გურიაში გამართავენ შეხვედრებს.

ოთხი ქუჩა შიუჯეტის დაფინანსებით

მუნიციპალიტეტში შიდასაქალაქო გზების მოწესრიგება წლევანდელი წლის პრიორიტეტია. თუმცა არა მხოლოდ წლევანდელი წლის, გზის საფარის რეაბილიტაცია კარგა ხანია მიმდინარეობს და ეტაპობრივად ქალაქის ცენტრსა თუ მის გარეუბნებში ყველა გზა წესრიგდება.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ბახტაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია, ბუნებრივია, ყველა მშენებლობის საქმის კურსში არიან. როგორც გაირკვა, ტენდერის საფუძველზე ოთხი ქუჩა სამტრედიაში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით დაიგო. თევზაძის, ფარნავაზის ქუჩის 526 მეტრიანი, ახალგაზრდობის ქუჩის გაგრძელებაზე 200 მეტრიანი მონაკვეთები და რაზმაძის ქუჩაზე გამგეობის შენობის მიმდებარე მოედანი, სწორედ ის გზებია, ადგილობრივი ბიუჯეტით რომ დაფინანსდა. 190 ათას ლარიანი ვალდებულება ტენდერის საფუძველზე შპს ''ინდიკომ'' 188 ათას ლარად შეასრულა. თავდაპირველად მოსახლეობის მიერ გაყვანილი მიწისქვეშა კომუნიკაციების სრული რეაბილიტაცია მოახდინეს და გზის საფარი შემდეგ გადაეგო. რაც შეეხება რაზმაძის ქუჩას, თავდაპირველად წყალსაწრეტი არხები არადგინეს, ისინი ცხაურებითაც დაიხურა. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია აცხადებს, ''სამუშაოების მწარმოებელი კომპანია ვალდებულებას იღებს, ორი წლის განმავლობაში თუ მშენებლის ბრალეულობით რამე ზიანი ექნება შესრულებულ სამუშაოებს, თავად აღმოფხვრას. ეს ხელშეკრულებაში გვაქვს ჩადებული.''

''შესრულებული სამუშაოს ხარისხს ჩვენც ვაკონტროლებთ და სამუშაოთა შემსრულებელი კომპანიაც ცდილობს აღებული პასუხისმგებლობის ხარისხიანად შესრულებას. როგორც აღვნიშნეთ, ეს ოთხი ქუჩა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით იგება. გზების მოწესრიგების სამუშაოები კვლავ გრძელდება მუნიციპალიტეტში. უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ ბევრი გაკეთდა. არა მხოლოდ ცენტრალური, ქალაქის გარე უბნების გზების სრულ რეაბილიტაციამდე სამუშაოები არ დასრულდება.'' _ ასეთია გამგებლის მოვალეობის შემსრულებელის დავით ბახტაძის კომენტარი.

ოთხივე ქუჩაზე სამუშაოები დასრულებულია, ხარისხის გამოცდა უკვე დაწყებული. როგორც მშენებლები აცხადებენ, დამატებითი პრობლემები არ უნდა შეიქმნას. თუ ასეთი იქნება, ხარვეზი მათ მიერ გამოსწორდება.

თეა გაგნიძაშვილი

არჩევნებზე არჩევნების შემდეგ

თეა ბაბუნაშვილი

სამტრედიას გამგებელი აღარ ეყოლება. თუმცა, არა მხოლოდ სამტრედიას, საარჩევნო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ უფლებები გამგებლისა დაუტოვა, და გამგებელს მერი დაარქვა. არჩევანი გააკეთეს და გაკეთდა _ კიდევ ოთხი წლით ჩაიბარა მუნიციპალიტეტი სამართავად „ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" სამტრედიელმა ლიდერმა. როგორც ხდება ხოლმე, ყველა დანარჩენი კანდიდატი ხელისუფლებას მის გაყალბებაში ადანაშაულებს. საინტერესოა, რა გარანტიებით იყო თითოეული მათგანი იმდენად დარწმუნებული საკუთარ გამარჯვებაში, რომ "დამნაშავე" მხოლოდ ხელისუფლებისთვის დაერქმია.

საარჩევნო ვნებათაღელვა ჩაწყნარების ფაზაშია. მიხედავად იმისა, რომ ქუჩები ჯერ ისევ აჭრელებულია საარჩევნო პლაკატებით და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნება ასე. შედეგი შეუცვლელი იმთავითვე გახლდათ. ყოფილი ხელისუფლებისათვის წესით საოცარი არაფერი უნდა იყოს. ამას მხოლოდ ჟურნალისტური გამოცდილება კი არა, წინა და არა მხოლოდ წინა ხელისუფლებაში მყოფები, ან მათი მხარდამჭერებიც აღიარებენ. თუმცა, იმის დამატებით, რომ სწორედ ამგვარი მანკიერების გამო უთხრა საზოგადოებამ უარი უკვე ყოფილებს და ივივეს გამეორება ზედმიწევნით ამსგავსებს ახლანდელს, უარნათქვამ წინას.

თქმით რომ ბევრი ითქმება, თანაც ნაარჩევნებს, არახალია. გამარჯვებულთა პროცენტული მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, ძნელია ამდენად შესძლებოდა ამომრჩევლის ნებაზე თამაში ვინმეს, თუნდაც ეს სახელისუფლებო პარტია ყოფილიყო. მშვიდ ვითარებაში, მხოლოდ უმნიშვნელო საპროცედურო დარღვევებზე დაწერილი ოქმებისა და საჩივრების მცირე რაოდენობა ამ მოსაზრებას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის.

ერთი სიტყვით, სამტრედიაში ვითარება ასეთია _ "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" მერობის კანდიდატი, მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი ვალერი ფოცხვერია, აწ უკვე სამტრედიის მერია! მისი გამარჯვების მაჩვენებლების პროცენტულობა ორჯერ, ზოგ შემთხვევაში სამჯერაც აღემატება სხვა დანარჩენ მოგროვებულ ხმებს. არჩევნების დღეს გაკეთებული კომენტარებისგან განსხვავებული კომენტარები უკვე ყოფილმა კანდიდატებმა ნაარჩევნებს გააკეთეს.



"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ის პოლიტიკური გაერთიანებაა, 9 სახელისუფლებო და საარჩევნო გამოცდილების შემდეგ კიდევ ერთხელ რომ წააგო არჩევნები და სახელისუფლებო უმცირესობას დასჯერდა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იგი ოთხი წევრით იქნება წარმოდგენილი. მერობის უკვე ყოფილი კანდიდატი მამუკა ბიბილეიშვილი აცხადებს, რომ: " ისეთი ზეწოლებით, ფულის იმ რაოდენობით დარიგებით, ისეთი მაქინაციებით, ამჯერად რომ გაყალბდა არჩევნები, არასდროს გაყალბებულა. ახლა მკითხავთ, თქვენი ხელისუფლებაც ხომ აყალბებდაო. დიახ, აყალბებდა და ეს ცუდი იყო, მაგრამ მას ამ მასშტაბით არასდროს გაუყალბებია. მოსახლეობა კრიმინალის ჩარევით, ზეწოლებით დათანხმდა ამას. არ მინდა ამომრჩეველი დავადანაშაულო, მათ სხვა გზა, უბრალოდ არ დაუტოვეს. პასუხს აქვე იმ კითხვაზეც გაგცემთ, რომელსაც ალბათ დასვამთ _ არანაირ თანამშრომლობაზე შემოთავაზებას გამარჯვებული კანდიდატისგან არ მივიღებ. მე მას მხოლოდ ტელევიზიით მივულოცე გამარჯვება. ჩემთვის გაუყალბებლად, ანუ მართლა რომ მოეგო არჩევნები, პირადადაც მივულოცავდი და ვითანამშრომლებდი კიდეც მასთან. მე და ვალერი ფოცხვერია ერთ დროს თანამოაზრეები ვიყავით. ჩვენ 1993 წლიდან გვაქვს როგორც პირადი, ისე პოლიტიკური ურთიერთობები. მერე ჩვენი გზები გაიყო. სამტრედიაში ასეთს იცნობენ და მეც ასე ვიცნობ, ვალერი ფოცხვერია, გამარჯვებული კანდიდატი პატიოსანი კაცია! და სწორედ იმიტომ, რომ იგი პატიოსანი კაცია, მე მის ადგილზე არ დავთანხმდებოდი ისეთ გამარჯვებას, როგორც მან გაიმარჯვა!"

ამდენად რადიკალური არ ყოფილა საკუთარ განცხადებებში ამჯერად "ევროპული საქართველოს" ლიდერი ავთანდილ სტურუა. ამჯერად იმიტომ, რომ იგი სამტრედიელებს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", კიდევ უფრო ადრე სხვა პარტიის ლიდერადაც ახსოვთ. "ნაციონალების" ცნობილი გაყრის შემდეგ ავთანდილ სტურუამ ამ ფლანგზე გადმოინაცვლა და ახლა, ნაარჩევნებს აცხადებს: "არჩევნები დასრულდა ისე, როგორც დასრულდა. ახალ პოლიტიკურ ძალად თვეების წინ ჩამოყალიბებული პარტიისთვის ვფიქრობ, ცუდი შედეგი არ გვიჩვენებია, "ევროპული საქართველო" საკრებულოში ორი წევრით იქნება წარმოდგენილი. რაც შეეხება არჩევნების გაყალბებას, ცუდ ტონად დამკვიდრდა ქართულ პოლიტიკაში არჩევნების პერიოდში სერიოზული ფულადი რესურსის მობილიზება. მართალია, სხვადასხვა გზით და საშუალებით, მაგრამ ხელისუფლებამ მოახერხა პირველივე ტურში გამარჯვება. მადლობა ყველა იმ ამომრჩეველს, ვინც არჩევანი ჩემზე შეაჩერა. რომ ვთქვა, უპირობო გასვლის იმედი მქონდა-თქო, არ იქნება სწორი, აუცილებლად და უეჭველად არაფერი ხდება არც ამ ქვეყანაში და არც პოლიტიკაში. მე ვიბრძოდი გამარჯვებისთვის და ვერ გავიმარჯვე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბრძოლას ვწყვეტ ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისთვის. იმ პოლიტიკური ძალისთვის, რომელსაც წარმოვადგენ და ჩემთვისაც საკრებულოს წევრობა ამ ბრძოლის გაგრძელებაა.

"რესპუბლიკელი" იმედა გოგავა, პოლიტიკურ პარტიაში ცვლილებების შემდეგ, "შენების მოძრაობას" წარმოადგენს. პოლიტიკური ძალის გაყოფისას იგი ერთ დროს "რესპუბლიკელების" და ახლა შენების მოძრაობის" ლიდერის, დავით უსუფაშვილის თანამოაზრე აღმოჩნდა. "შენების მოძრაობა" არჩევნების შედეგებით საკრებულოს გარეთ დარჩა. მერობის უკვე ყოფილი კანდიდატი იმედა გოგავა, 21 ოქტომბრის შემდგომ საკუთარ ფეისბუქგვერდზე აქვეყნებს. თქვენთანაც იგივეს გავიმეორებო, სატელეფონო საუბარში, და მისი გადმობეჭდვის ნება დაგვრთო. "თვითმმართველობის არჩევნები დამთავრდა და თითქოს ემოციებიც დაცხრა... ხალხმა არჩევანი გაკეთა და საკუთარ თავს კიდევ ერთხელ გამოუტანა უკომპრომისო განაჩენი...

თქვენი არ ვიცი და მე მართლა ვერაფრით გავარკვიე, რა ხდება ჩვენ ირგვლივ. ფაქტია, რომ ბევრი სიკეთეს თესავს და უფრო მეტი ბოროტებას იმის, ბევრის აღმასვლას უფრო მეტის დაღმასვლა ახლავს, ბევრს ქვეყნის ტკივილი აწუხებს, უფრო მეტს კი სკამები და პრივილეგიები ხიბლავს, ბევრი პრინციპების ერთგულია, უფრო მეტი კი ვაზელინის ფანია, ბევრს ქვეყანა უყვარს, უფრო მეტს კი მხოლოდ საკუთარი თავი ამ ქვეყანაში, ბევრს საქმის კეთება სწადია, უფრო მეტისთვის კი თანამდებობა არის პრიორიტეტი...

გალაკტიონი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალალად იტყოდა: _ "დროშები, დროშები, დროშები, ჩქარა!"

ალბათ, მიმიხვდით, რისი თქმაც მინდა, ახლა სწორედ ის დროა, სხვადასხვა ფერის დროშების ფრიალი რომ განსაზღვრავს, ვინ უნდა აღზევდეს და ვინ უნდა გაირიყოს. ყოველივე ამის შემდეგ, როცა ვინმე იკითხავს, _ ვინ არის იმედა გოგავა, ზუსტად ვიცი, რაც უნდა ვუპასუხო!

და მაინც, ვინ არის იმედა გოგავა?

იმედა გოგავა კრებითი სახელი და გვარი უფრო მგონია, რომლებსაც მნიშვნელოვანი ცვლილებების და რეფორმების განხორციელება, მწარე რეალობის შეცვლა და ნაცრისფერი ყოველდღიურობის გაფერადება შეუძლია...

ჩვენ ბევრი (არ) ვართ, ჩვენი ძალა კი ინდივიდუალიზმშია...

ვფიქრობ, რომ სათქმელი ითქვა, გამგები გაიგებს, ტატოს მერანზე კი ისევ ჯიუტად ვოცნებობ(თ), რადგან მისი ჭენება მხოლოდ რჩეულთა და გმირთა ხვედრია..."

დაგვეთანხმებით, საზოგადოება ნაკლებად იცნობდა "პატრიოტთა ალიანსის" კანდიდატს მერის პოსტზე, კამო კანდელაკს. მისი პოლიტიკური წარსული ეროვნულ მოძრაობას უკავშირდება. შემდეგ კი პოლიტიკურ სარბიელზე კარგა ხნის ტაიმაუტი აიღო. ამჯერად, მართალია, მნიშვნელოვანი პროცენტულობით ვერა, მაგრამ მან ხმების გარკვეული რაოდენობა მაინც მიიღო. ეს, ალბათ, უფრო "პატრიოტთა ალიანსის" საერთო ცნობადობის ფონზე. რისი მოლოდინები ჰქონდა, უფროს ზუსტად ჰქონდა თუ არა მოლოდინები, მომავალ საკრებულოში ერთი დეპუტატით წარმოდგენილი პარტიის სამტრედიელი ლიდერი ნაარჩევნებს აცხადებს, უფრო სწორად, საზოგადოების ერთ ნაწილს თავს ახსენებს, მეორე კი აცნობს: "მე პოლიტიკაში ეროვნული მოძრაობის დროიდან ვარ ჩართული. ლიდერის ამპლუაში "პატრიოტთა ალიანსი" პირველი პარტიაა ჩემთვის. მას სამტრედიაში სათავეში გასულ წელს ჩავუდექი. ვაქტიურობდი შესაძლებლობების მიხედვით. საკრებულოს წევრი გავხდი და ამიერიდან უფრო გავაქტიურდები. რაც შეეხება იმას, გააყალბა თუ არა ხელისუფლებამ არჩევნები, ვფიქრობ, დიახ! თუმცა, კიდეც რომ არ გაეყალბებია, სხვა შედეგი მაინც არ დადგებოდა, უბრალოდ, პროცენტული გადანაწილება იქნებოდა განსხვავებული. ხელისუფლებამ ეს არჩევნები მოიგო, თუმცა, სახელისუფლებო რესურსის უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობით გამოყენებით. ამან კი ის შედეგი მოიტანა, რაც დღეს გვაქვს".

"ლეიბორისტული პარტიის" დეპუტატობის კანდიდატთან დაკავშირების მიუხედავად, შეხვედრა ვერ შედგა. იგივე უნდა ვთქვათ გამარჯვებულ კანდიდატზეც "ქართული ოცნებიდან", თუმცა, ცხადია, მისი კომენტარი ძალიან საჭირო და საინტერესო იქნებოდა მკითხველისათვის.

მერობის უკვე ყოფილი კანდიდატები დღეს ასე თვლიან, მომავალ არჩევნებამდე კი ოთხი წელი უნდა მოვიცადოთ.

სამტრედიის საკათედრო ტაძარი 6 წლისაა

ნინო ნანიტაშვილი

"3 ნოემბერს 6 წელი შესრულდება წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის კურთხევიდან. სამტრედიის მუნიციპალიტეტის პირველ საკათედრო ტაძართან ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე მშენებლობა განხორციელდა, რომელიც საბოლოოდ მას აქცევს საკათედრო ტაძრის კომპლექსად. იგი იქნება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სულიერი გაძლიერების უმნიშვნელოვანესი კერა". _ ასე იწყებს საუბარს "სამტრედიის მაცნესთან" ჯონი ნადირაძე. წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის კომპლექსის მშენებლობის ხელმძღვანელი მეგზურობას გვიწევს და სათითაოდ აღწერს 6 წლის განმავლობაში კურთხევის შემდეგ ჩატარებულ სამუშაოებს.

ტაძრის კურთხევის შემდეგ სულ პირველად მშენებლობა დაიწყეს ეკლესიის დასავლეთ კარიბჭესთან სტოას ასაგებად. ამჟამად ეს უკანასკნელი დასრულებული სახით წარმოგვიდგება და ერთ-ერთი საუკეთესოა ქართულ საეკლესიო მშენებლობათა შორის. განსაკუთრებით გამოარჩევს მას სტოას გუმბათი, რომლის ნიმუშადაც აღებულია გელათის აკადემიის შესასვლელის გუმბათი.

სტოას დასრულების შემდეგ, 2013 წლის ზაფხულიდან მეუფე საბას ლოცვა-კურთხევით დაიწყო სამღვდელმთავრო რეზიდენციის, სულიერებისა და კულტურის ცენტრის მშენებლობა. დღეის მდგომარეობით ნაგებობა უკვე გადახურულია და მზად არის შიგა სამუშაოების დასაწყებად. ეს გახლავთ სოლიდური, ორსართულიანი ნაგებობა, რომლის თითოეული სართული 1000 კვადრატულ მეტრ ფართს მოიცავს. აქ არის პატრიარქის მისაღები რეზიდენციაც, საეკლესიო სამუზეუმო სივრცეც, საკონფერენციო დარბაზები, როგორც საეკლესიო, ასევე საერო პირების შეკრებისათვის, ასევე სასწავლო ოთახები, სადაც ახალგაზრდობა შეისწავლის გალობას, ხელსაქმეს და სხვა საჭირო და აუცილებელ უნარებს.

სულიერებისა და კულტურის ცენტრის მშენებლობის პერიოდში მოხდა აგრეთვე საკათედრო ტაძრის სამრეკლოს კომპლექსის საძირკვლის ჩაყრა და ამჟამად მისი მშენებლობა მიმდინარეობს.

პარალელურად დასასრულს უახლოვდება ტაძრის ეზოს გალავნის მშენებლობა. ტემპი ისეთია, რომ 2018 წლის ბოლოს, ან მაქსიმუმ, 2019 წლის ზაფხულში აღნიშნული სამუშაოები ძირითადად უნდა დასრულდეს.

"შემდგომი ეტაპი იქნება სამღვდელმთავრო რეზიდენციის მთლიანად დამთავრება, რაშიც შიგა სამუშაოების დასრულებაც იგულისხმება და ტაძრის ეზოს კეთილმოწყობაც. ტაძრის კურთხევიდან 9 წლის თავზე, მჯერა, სამტრედიის მუნიციპალიტეტში პირველი საკათედრო ტაძარი ეკლესიაში მოსულ მრევლს ზუსტად ისეთი დახვდება, რომელიც მხოლოდ კეთილად მეოცნებემ შეიძლება წარმოიდგინოს. ეს იქნება სამტრედიელებისათვის საუკეთესო ადგილი, როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად დასვენებისათვის". _ "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში დასძენს ჯონი ნადირაძე.

2017 წლის 3 ნოემბერს წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი საზეიმო წირვაზე ყველას ელოდება. როგორც წინა წლებში, მოსალოდნელია, კურთხევიდან 6 წლის თავზე ეკლესიამ მრევლი ვერ დაიტიოს.

სამ ნოემბერს, ექვსი წლის წინ

საოცარი გამოცოცხლება, მომღიმარი სახეები ქალაქში, ერთი სიტყვით, დღესასწაული იყო სამტრედიაში.

თანამედროვეობის ყველაზე დიდი ქართველი, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე სტუმრობდა იმ დღეს სამტრედიას, ფრიად საპატიო მისიით.

პატრიარქმა აკურთხა წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი, რომელსაც სრულიად სამტრედია აშენებდა.

ტაძარი მოქმედებს, თუმცა, მის მიმდებარედ მშენებლობა კვლავ მიმდინარეობს, მშენებლობა სამღვდელმთავრო რეზიდენციისა, სამრეკლოს კომპლექსისა.

მოცლილს ვერასოდეს, ვერანაირ ამინდში ნახავთ ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელს ჯონი ნადირაძესა და მშენებლებს, საოცრად ღვთიური საქმე რომ მოჰყავთ სისრულეში.

შორს არაა დრო, როცა მაღალი ამწე ამ ტერიტორიაზე საკუთარ მისიას ამოწურავს, სამონასტრო კომპლექსი საბოლოო სახით გამშვენდება და მუნიციპალიტეტის, საზოგადოების, ახალგაზრდობის, მრევლის სამსახურში ჩადგება.

ლევან გაბეჩავა

არა კაც ჰკლა!

ლევან გაბეჩავა

ძნელია, ერთ წერილში ისაუბრო იმ განუზომელი ღვაწლის შესახებ საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე რომ მიუძღვის უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

1990 წლის 28 ოქტომბერი ისტორიული დღეა საქართველოსთვის, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დღეს საქართველოში პირველად გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები, არამედ იმიტომაც, რომ ამ დღეს, 1990 წლის 28 ოქტომბერს, მისმა უწმინდესობამ გამოსცა საგანგებო ბრძანება.

"სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ვბრძანებ:

დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდება ქართველი ერის მტრად.

მკვლელის სახელი და გვარი შეტანილ იქნეს საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაგმობი.

საგანგებო ბრძანება ესე მიღებულია, რათა საქართველოში სამუდამოდ თავიდან აცილებულ იქნეს უმძიმესი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე _ ძმათა კვლა.

ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

საქართველოს საპატრიარქო თხოვნით მიმართავს უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების პედაგოგებს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გააცნონ მოსახლეობას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას ეს საგანგებო გადაწყვეტილება". _ ვკითხულობთ 1990 წლის ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ალბათ, სრული სტატისტიკის წარმოდგენა შეუძლებელიც კი იქნება, თუ რამდენჯერ იქნა დარღვეული, უგულვებელყოფილი პატრიარქის ეს საგანგებო ბრძანება.

ვინ იცის, რამდენმა ქართველმა აღმართა ხელი ადამიანზე, რამდენმა დაიდო კაცის ცოდვა, რამდენმა შეურაცხყო მომავალი თვისი.

და განა მარტო ეს საგანგებო ბრძანება!

რამდენი რამ არ გავუგონეთ, არ დავუჯერეთ მის უწმინდესობას ქართველებმა და მძიმე შედეგს დღეს ვიმკით ყოველი ჩვენგანი, სრულიად საქართველო.

არა კაც ჰკლა! _ ბრძანებს უფალი.

27 წლის წინანდელ საგანგებო ბრძანებას კი დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, პირიქით, დღეს უფრო გასათავისებელია ბრძანების ყოველი მუხლი, რამეთუ ზენიტშია ასული ადამიანთა მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულთა სტატისტიკა.

გვიანაა, ძალზე გვიან, მაგრამ აწი მაინც ვისმინოთ შეგონება პატრიარქისა.

განუზომელი ნდობა, დიდზე დიდი პასუხისმგებლობა

ლევან გაბეჩავა

ლამის 150 წლის სამტრედია კანონიერად იწონებს თავს იმ ღირსეულ სამტრედიელთა სამტრედიელობით, არა მარტო რაიონს, საქართველოს რომ გაუთქვეს ძალზე შორს სახელი. მეცნიერები, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის, ახალგაზრდობის... თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან მათ შორის.

საზოგადოებრივ პოლიტიკური ფორმაციის ყველა ეტაპზე მაღალი თანამდებობები არაერთხელ ეკავათ წარმოშობით სამტრედიელებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (არა პირველი მდივანი), უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები... აი, არასრული ჩამონათვალი ამ მაღალი თანამდებობისა.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგად საქართველოს დედაქალაქის მერად არჩეულია წარმოშობით სამტრედიელი, სამტრედიის მესამე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული კახა კალაძე, უდიდესი პასუხისმგებლობაა, დიდზე დიდი გამოწვევა.

"მერი" ფრანგული სიტყვაა, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკასა და სხვა სახელმწიფოებში მერიის მეთაურია.

მერია _ საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკასა და ა. შ. თვითმმართველობის ორგანო, მუნიციპალიტეტი.

1991 წლიდან თბილისის მერი დანიშვნითი თანამდებობა იყო და მას პრეზიდენტი ნიშნავდა.

2005 წლის ივლისიდან თბილისის მერის არჩევის უფლება მიენიჭა ქალაქის საკრებულოს.

2009 წლის 28 დეკემბერს "საქართველოს დედაქალაქის _ თბილისის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებით კი მერი პირდაპირი არჩევითი თანამდებობა გახდა, რომელიც ერთპიროვნულად აკომპლექტებს ქალაქის მთავრობას და ნიშნავდა რაიონის (თბილისის) გამგებლებს.

2014 წლის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მიხედვით, თბილისის მერს კვლავ პირდაპირი წესით ირჩევს მოსახლეობა, ოღონდ მერის უფლებები ნაწილობრივ შეზღუდულია საკრებულოს მიერ.

თბილისის მერები იყვნენ:
ირაკლი ანდრიაძე _ 1991 წ.
თამაზ ვაშაძე _ 1991-1992 წ.წ.
ოთარ ლითანიშვილი _ 1992-1993 წ.წ.
კონსტანტინე გაბაშვილი _ 1993 წ.
ნიკოლოზ ლეკიშვილი _ 1993-1995 წ.წ.
ბადრი შოშიტაიშვილი _ 1995-1998 წ.წ.
ივანე ზოდელავა _ 1998-2004 წ.წ.
ზურაბ ჭიაბერაშვილი _ 2004-2005 წ.წ.
გიგი უგულავა _ 2005-2014 წ.წ.
დავით ნარმანია _ 2014-2017 წ.წ.

ამჟამად თბილისის ტერიტორია დაახლოებით 700 კმ² შეადგენს.

2013 წლის აღწერის მიხედვით მოსახლეობას რაოდენობა კი 1 200 000 აღემატება.

კარგად გვესმის, თბილისის მერი პირდაპირ არაა ვალდებული და პასუხისმგებელი, გარდა თბილისისა, რომელიმე მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებზე, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურაზე და ა. შ. იზრუნოს, მაგრამ ისიც გვაქვს გაგონილი, დიდი კაცის სიტყვას უფრო ძალა რომ აქვს, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავისას (თუმცა ყველანი ჩვეულებრივი მოკვდავნი ვართ).

ჯერ კიდევ ახალგაზრდა კახა კალაძე, იმედია, ღირსეულ სიტყვას იტყვის ლამის მილიონ-ნახევრიანი ქალაქის მერის პოზიციიდან, უთუოდ სასიამოვნო იქნება თითოეული სამტრედიელისთვის, თუ სამტრედიელი კაცი პოლიტიკაშიც წარმატებული იქნება.

რამდენადაც ვიცით, "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" სამტრედიის მერობის კანდიდატი, აწ უკვე მერი, ვალერიანე ფოცხვერია ქვეყნის მასშტაბით ერთადერთი იყო და არის, ვინც მეორე ვადით იქნა არჩეული მუნიციპალიტეტის თავკაცად, ადრე გამგებლად, ამჟამად მერად.

სუფთა წარსული, საკრებულოს თავმჯდომარედ, გამგებლად მუშაობის წლები მეტ გამოცდილებას რომ შესძენს მას, უდავოა.

მერე რა, რომ სამტრედია არაა თბილისივით მრავალრიცხოვანი. საერთაშორისო თანამეგობრობაში არა ერთი სახელმწიფოა შესული 60 000-იანი მოსახლეობით, მაგრამ სახელმწიფოა ყველა ატრიბუტით.

ასე რომ, სულაც არაა იოლი, 60 000-იანი მუნიციპალიტეტის ღირსეული თავკაცი იყო, მით უფრო, რომ სამტრედიაში, გაკეთებულის მიუხედავად, გასაკეთებელი ბლომადაა.

რაც შეეხება მეორე ვადით მუნიციპალიტეტის თავკაცად არჩევას, ბატონი ვალერი თავისთავად დიდ ნდობად რომ აღიქვამს და ეცდება, კიდევ მეტი გააკეთოს სამტრედიისა და სამტრედიელებისათვის, ისე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, ღამეს დღე, დღეს ღამე რომ მოჰყვება.

არც მუნიციპალიტეტში, არც რეგიონსა და არც მთლიანად ქვეყანაში არაა დრო იმისი, რომ სხვათა კრიტიკა და ქილიკი ქრონიკულ დაავადებასავით ვერ (არ) მოვიშალოთ.

წარმატებებს ვუსურვებთ საქართველოს თმაჭაღარა დედაქალაქ თბილისის სამტრედიელ მერს ბატონ კახა კალაძეს, სასახელო წარსულის მქონე სამტრედიის მერს ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას მოღვაწეობაში.

ღმერთმა ინებოს, მომდევნო ოთხი წელი წარმატებული ამყოფოს არა მარტო მათთვის, არამედ შესაბამისად თბილისელებისა და სამტრედიელებისათვის, სრულიად საქართველოსთვის.

აქვე მინდა ვთქვა, რომ ვრჩები უზომოდ პატივისმცემელი, დამფასებელი არჩევნებში მეორე, შემდეგ ადგილებზე გასულებისა თუ ხელმოცარულთა მიმართ, რომელთაც შეუძლიათ თანადგომა, სიკეთის კეთება ერისა და ქვეყნისათვის.

რაც შეეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ვიმედოვნებ, მომდევნო 4 წელიწადში მუშაობა მეტად მოქნილი გახდება, ნაკლებად იქნება დაპირისპირება, ბევრი კი, ჯანსაღი კამათი და პოზიტივი.

წამებიღა დარჩა წამზომის ჩართვამდე.

ახლად ნათქვამი ძველი ამბავი

თეა ბაბუნაშვილი

ამ კარგი ამბის დაძველებას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. აუცილებლად უნდა გავაგებინოთ მათ, ვინც არ იცის, რომ ხონში, დაახლოებით ერთი თვის წინ გამართული იუმორისტული ფესტივალის გამარჯვებული სამტრედიის მინიატურების თეატრია.

იმერეთში ქართული იუმორის ფესტივალის ფარგლებში ყოველწლიურად არაერთი ღონისძიება იმართება. იუმორისტულ ფესტივალს აქამდე ვანი მასპინძლობდა. წელს მისი ხონში გამართვა ქართული იუმორისტული ჟანრის უდიდესი სახის, იპოლიტე ხვიჩიას მემორიალის გახსნას დაუკავშირეს.

ფესტივალის ორგანიზატორი, იპოლიტე ხვიჩიას სახელობის საზოგადოება, რომელსაც ბენიამინ თხილავა ხელმძღვანელობს, იმერეთის გუბერნია და ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა გახლდნენ. ჟიურის დავით გორდელაძე ხელმძღვანელობდა. ხონის გამარჯვებაში ყველა დარწმუნებული იყო, თუმცა, სამტრედიელების სტუმრობა სულაც არ შეიქნა სახუმარო ხონელებისთვის, რადგან პირველი ადგილი, შეიძლება ითქვას, ხელიდან გამოსტაცეს.

წარმატებული შემოქმედი მინიატურების თეატრია სამტრედიიდან. მართალია, ბოლო პერიოდში თეატრი ამ სახელწოდებით აღარ ფუნქციონირებს, მაგრამ საქმემ მოითხოვა და სასწრაფო წესით "აღდგა" იგი. მას გია სტურუა ხელმძღვანელობს. მსახიობები კი, ნაცნობი სახეები არიან ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრიდან.

მინიატურების თეატრი, როგორც ასეთი, 80-იან წლებში შეიქმნა მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა სახლის ბაზაზე. მერე რკინიგზის კლუბის ბაზაზე ფუნქციონირებდა. წარმატებები არ აკლდათ სამშობლოში თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. იგი სამტრედიაში ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში ჩამოყალიბებული აგიტ-მხატვრული ბრიგადის პირმშოა, რომელშიც მაშინ იური გვაზავა, ტარიელ ხაჟალია, ჟორა კეშელავა, ნორმან რუნა, მზია ჩიხლაძე, მზია გაგიშვილი, ლია კუჭუხიძე და როლეზ გოგიშვილი შედიოდნენ. მხოლოდ წარმატებებით ცნობილი ეს შემადგენლობა, მოსკოვში, სოფლის მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე მესამე ადგილის მფლობელის ტიტულსაც ატარებდა. მერე ახალგაზრდები გამოვიდნენ სარბიელზე, მინიატურების თეატრი დაარქვეს ახლად შექმნილ კოლექტივს და გია სტურუა ჩაუყენეს სათავეში. "ამ თეატრის აღდგენა მართლაც კარგი საქმე იქნება, მაგრამ ამას ფინანსები სჭირდება, შესაბამის პროგრამას შესყიდვა და დამუშავება უნდა." _ ამბობს გია სტურუა. რაც შეეხება რეპერტუარს, კულტურის ცენტრის დირექტორს, რეჟისორ ვეფხია ნადირაძეს, ეროსი მანჯგალაძის სახელობის სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, როლეზ გოგიშვილიც ეთანხმება იმაში, რომ ფესტივალზე წაღებული ნოდარ ხუნწარიას "ერთგული ცოლი" სამტრედიის თეატრალური დასისთვის არაერთხელ ნათამაშები პიესა იყო. ამიტომ არ გასჭირვებიათ, თითქმის სპონტანურად მისი "გადამეორება". "გენერალური რეპეტიცია, ფაქტობრივად, მანქანაში გავიარეთ, რადგან მოულოდნელად დაგვიკავშირდნენ, მონაწილეობა მიიღეთო. სამტრედია რომ არ გამოთიშოდა იმერულ მარათონს, სახელდახელოდ მოვემზადეთ." _ ყვება როლეზ გოგიშვილი.

იმერეთის 12 რაიონიდან ფესტივალში მხოლოდ ორი, წყალტუბო და ხარაგაული არ მონაწილეობდა. მონაწილეთაგან ხონი მეორეს, თერჯოლა კი მესამე ადგილს დასჯერდა.

"მიუხედავად იმისა, რომ სპონტანურად მოვემზადეთ, სცენაზე გასვლისას მსახიობის პასუხისმგებლობა უკვე ინსტიქტია მათთვის, ვინც ერთხელ მაინც მდგარა იქ. არ აქვს მნიშვნელობა სპექტაკლი იქნება თუ სკეტჩი, იქნებ სამი წუთი შეხვიდე სცენაზე და შთამბეჭდავი სახე შექმნა. უცხო არ იყო ეს სკეტჩი ჩვენთვის და ამიტომ ასე სწრაფად, მაგრამ მაინც წარმატებულად "მოვაბით თავი." _ გვეუბნება რადი შენგელია.

"არ გვინდა ფინიში" _ იპოლიტეს მერე ალბათ, ხონელებმა გაიმეორეს, რადგან სამტრედიისთვის ფინიში საპირველადგილო გახდა. ეს კიდევ ერთი წარმატება, სხვა ათასიც წინ არის! იმ საოცარი ფილმის პერიფრაზით რომ ვთქვათ, წარმატების გოლი, კიდევ ბევრი გოლი, იმერეთში იუმორის ფესტივალზე იპოლიტე ხვიჩიას ხსოვნას უთუოდ სჭირდება!

ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში

“22 წლის ბიჭებს ერთსულოვნებამ ბევრი შეგვაძლებინა”

ნათია ნაცვლიშვილი

ლერი მანაგაძე პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსია, მუშაობს რკინიგზაში, ენერგომომარაგების სამსახურში. ის თანაქალაქელებს ეროვნული მოძრაობის წლებიდან ახსოვთ, პატრიოტული განწყობით ახალგაზრდობიდანვე გამორჩეული, ძმათა დაპირისპირებისა და სამოქალაქო ომის წლებში ტყვიას არაერთგზის გადარჩენილი... მაგრამ მის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, ამიტომ იმ დრამატული მოვლენების გასახსენებლად ის ჩვენს რუბრიკაში სასუბროდ მოვიწვიეთ...

_ ეროვნულ მოძრაობაში ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩავები, ცნობილი ფიგურების, ეროვნული მოძრაობის ლიდერების ლიანა კაცაძის, ფირუზ დიაკონიძის, ვალერი კალანდარიშვილის გვერდით ვიდექით სტუდენტები. 1988 წელს 1-ლი კურსის სტუდენტი ვიყავი, 1989 წლის 8 აპრილს ქუთაისის თეატრის წინ რამდენიმე ახალგაზრდას, მე და კაკო ბობოხიძეს, ზაალ ლომთაძეს, ჩემს თანაკურსელ ილია ქარჩილაძეს და ზაზა ყურაშვილს გვსურდა, სოლიდარობა გამოგვეხატა მშვიდობიანი დემონსტრანტებისადმი, მაგრამ დაგვარბიეს, მერე ერთი აიყვანა უშიშროებამ. სამტრედიაში ზვიად ძიძიგური გავიცანი, აქ იყო ჩამოყალიბებული რუსთაველის საზოგადოება, მაშინ გავიცანი სოსო შუბლაძეც. ქუთაისში, გელათის ტაძარში გავიცანი ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, პირველად ვნახე ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანები ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ეკლესიაში კი დავდიოდი, მაგრამ მე ნაკლებად მერქვა მორწმუნე. მერაბ კოსტავას მოგვიანებითაც შევხვდი, მახსოვს, გელათში ზვიადთან ერთად ირინა სარიშვილიც იმყოფებოდა. ამ პატარა გოგონამ დააჩოქა იმპერიალიზმიო, თქვა გამსახურდიამ.

_ ეს პატარა გოგო წლების მერე იტყვის: გამსახურდია რატომ არ მოვიშორეთო...

_ ასეთებიც იყო, კი...

ვაქტიურობდი ქუთაისში პროკლამაციების გავრცელებაში, თანდათან ძლიერდებოდა ეროვნული მუხტი და მე ჩემს ქალაქში ვიყავი საჭირო. ზვიად ძიძიგური რომ გავიცანი, სამტრედიაში დედაქალაქიდან ილია მართლის საზოგადოების წევრები ჩამოვიდნენ, აქაც შეიქმნა ამ ორგანიზაციის ფილიალი. ცნობილი აქცია ბაღში, ავტოდრომის ტერიტორიაზე გაიმართა, ავტოდრომის მფლობელმა მალხაზ ადეიშვილმა გაგვიღო კარი, იქ ვმართავდით აქციებს ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ზაზა ყურაშვილმა, ილია ქარჩილაძემ და მე ქუთაისში, ინსტიტუტში გადავწყვიტეთ, სამტრედიაშიც გაგვემართა აქცია 9 აპრილიდან 40 დღის აღსანიშნავად, აქ ვნახეთ ზვიადი, სოსო, სოსოს მანქანით ქუთაისში ჩავედით იმ ლიდერებთან, ფირუზ დიაკონიძესთან და სხვებთან მოსალაპარაკებლად. აქციას ვხელმძღვანელობდით მე და რამდენიმე ადამიანი, ზაზა ყურაშვილი, ზვიად ძიძიგური, რადი შენგელია, გია სტურუა, გურამ კალმახელიძე... შიმშილობდნენ. აქციებს პატარა მიღწევებიც ჰქონდა. ილია მართლის საზოგადოების წევრები, ლევან და ედუარდ ახობაძეები, გოგიტა ალფაიძე და ზვიად ძიძიგური წავედით ყოფილ საკონსერვო ქარხანასთან, მეგობრის ბინაზე შევიყრიბეთ, თუ მანამდე საპროტესტო აქცია მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფმა გავმართეთ, ახლა უნდა გავწევრიანებულიყავით რომელიმე ორგანიზაციაში, ასე შეიქმნა ილია მართლის საზოგადოება. მის გამგეობაში იყვნენ სოსო შუბლაძე, ზვიად ძიძიგური, გოგიტა ალფაიძე, ლევან ნიკურაძე...

სამხატვრო გალერეის ყოფილი შენობის კარი მხატვარმა ლუკა კოხრეიძემ გაგვიღო, იქ ეროვნული ძალები ვიკრიბებოდით. 9 აპრილის ტილო ამ ადამიანმა ერთ ღამეში დახატა, ბოლომდე არ იყო დასრულებული. მხატვარი გივი ფრანგიშვილი სულ მოდიოდა და გვგულშემატკივრობდა... უნდა წამოგვეწყო აქცია საბჭოთა ჯარში არ წასვლის მოთხოვნით, ამ საკითხზე მოსათათბირებლად სამტრედიაში მოსულ მერაბ კოსტავას თან ახლდა ირაკლი ბათიაშვილი, უნდა გაფიცულიყო რკინიგზა. გადავედით დეპოს უფროსთან მოსალაპარაკებლად, მას მერაბ კოსტავამ ყველაფერი აუხსნა. 1989 წელია, 22-23 წლის ბიჭები ვიყავით, ამ ერთსულოვნებამ შეგვაძლებინა ის, რომ არჩევნებამდე მივიყვანეთ საქართველო... რომ გამოვედით, მერაბ კოსტავას ვუთხარი; ბატონო მერაბ, ხვალ რკინიგზა გაიფიცება-თქო, ზვიად ძიძიგურმა, მახსოვს, გვერდულად გადმომხედა... ბაღში შევიკრიბეთ და დავსახეთ გეგმა, დროშით ხელში დავმჯდარიყავით ლიანდაგზე. დავჯექით, მოთხოვნით _ ქართველი ბიჭები არ წასულიყვნენ საბჭოთა ჯარში. მანამდე გია მესხი, შმაგი სიხარულიძე და სხვები აქ შიმშილობდნენ, ძმები ახობაძეები თავიდანვე ჩვენთან იყვნენ, ეს აქციაც წარმატებული იყო. 9 აპრილიდან 40 დღის შემდეგ ჭაგანში წავედით, ცხონებულმა ავთო ახობაძემ უზარმაზარი ჯვარი ხელით ჩაიტანა. მრავალპარტიულ არჩევნებში სამტრედიის წვლილი დიდია, მაშინ გავიცანი ნოდარ იმნაძე, ცნობილი დისიდენტი, რომელიც თბილისიდან იყო ჩამოსული. სამტრედიელებმა პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების მოთხოვნით რკინიგზა რომ გადავკეტეთ, კომუნისტები ძალიან შეშინდნენ, 7 დღიანი აქცია იყო, სხვა აღტკინება იყო მაშინ. აქციის მესამე დღეს კოპიტნარიდან ხონისკენ რუსის ჯარმა მანევრი განახორციელა, გადაადგილდნენ ქალაქში ღამის საათებში, ეტყობა, ჩვენი დაშინების მიზნით, ქალაქში ხმა გავარდა, მომიტინგეებს არ ბევენო (აქცია აგვისტოში დაიწყო, ოქტომბერში კი უკვე პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩავატარეთ), ... მთელი სამტრედია ფეხზე დადგა, სახლებიდან ხალათმოცმული ქალბატონები გამოცვიდნენ, ამას კი წინ უძღოდა თბილისში სტადიონზე ცნობილი მიტინგი, სადაც ზვიად გამსახურდიამ უამრავი ადამიანის გამოყვანა შეძლო.

_ ამბობთ, რომ ეროვნულ მოძრაობაში სამტრედიის წვლილი დიდია, სამტრედიელთა მიმართ ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მხრიდან კეთილგანწყობა გიგრძვნიათ?

_ ცხონებული ზვიად გამსახურდია სულ ასე მოგვიკითხავდა: სამტრედიელები სად არიან, ზვიადი სად არის? ზვიადი სამტრედიასთან იგივდებოდა, სადაც ზვიადი იყო, ჩვენც იქ ვიყავით. გამსახურდიას დაცვა კარგად გვიცნობდა. გამსახურდია ძიძიგურს ძალიან ენდობოდა, იმიტომ, რომ არაფერს ატყუებდა, სიმართლეს ეუბნებოდა. სტადიონზე მიტინგი რომ ჩატარდა, ეროვნულ მოძრაობაში უკვე განხეთქილება ჩაითესა. რომ დაინახა უშიშროებამ, გამსახურდიამ ხალხი აიყოლია და არჩევნებიც ტარდებოდა, ერთი ნაწილი ფორუმის მონაწილენი ედპ-ს ხელმძღვანელობით ითხოვდნენ კონგრესის არჩევნების ჩატარებას, ზვიადი მრავალპარტიულ არჩევნებს სთავაზობდა, ზვიადის გზამ გაამართლა, “მრგვალი მაგიდა” ხელისუფლებაში მოვიდა, მაგრამ არ მოვიდა სხვასთან ერთად, მე ვფიქრობ, განხეთქილებაზე უშიშროებამ დაითანხმა გია ჭანტურია, ღმერთმა აცხონოს მისი სული. იმ მიტინგის მერე გადაწყდა, მივსულიყავით უშიშროებაში, ზვიად გამსახურდია, ზვიად ძიძიგური, ილო კაჭახიძე, ზაზა კაჭახიძის ძმა და მე, ერთი სიტყვით, შევედით. რამდენად სწორი და გამართლებულია, ვერ გეტყვით... მახსოვს, 1990 წელს ტარიელ ლორთქიფანიძე იყო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, მის ოთახში ავიღე ძერჟინსკის მცირე ზომის ბიუსტი, დავამსხვრიე მის ფეხებთან, ასე დაიმსხვრევა საბჭოთა იმპერია-თქო, ვუთხარი და ჩვენზე დოსიეები რომ იყო შექმნილი, ეს დოკუმენტებიც წამოვიღეთ... არჩევნები რომ ჩატარდა, პირველი პროვოკაცია საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობიდან ის იყო, ომი რომ დაიწყო ცხინვალში, ორი სამტრედიელი პოლიციელი დაიღუპა, პირველი 40 კაციანი ჯგუფი მაშინ წავიდა აქედან, მათთან ერთად იყვნენ რაჟდენ კაპანაძე, რადი შენგელია, გია სტურუა, როლეზ გოგიშვილი. სულ ერთად ვიყავით, წავიდნენ ცხინვალში მოხალისეებად, პოლიცია რომ გამოვიდა, იმხანად ავტოსაგზაო შემთხვევაში მოვხვდი, მაგრამ მაინც წავედი, ერთი თვე ვიყავი. პოზიციურ ბრძოლებში მივიღეთ მონაწილეობა.

_ სამტრედიის 24-ე ბატალიონში იყავით?

_ ოფიციალურ წევრად არა, მაგრამ მოხალისე ვიყავი, 24-ე ბატალიონის ხელმძღვანელი თამაზ ესებუა იყო, მისი მოადგილე ჯემალ შანიძე გახლდათ. მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა ამ შესანიშნავ ადამიანზე, მასზე ამბობდნენ, ფულის შოვნა უნდა და იმიტომ არის მებრძოლებთანო. არადა, ერთადერთი შეძლებული ადამიანი იყო, ჩვენს გვერდით რომ იდგა შვილთან ერთად და აქით გვახარჯავდა თავის ფულს. ილორში რკინეულობის საამქრო ჰქონდა კარგა ხანია, არ მინახავს მისი ვაჟი, მერე ჯემალი დაიღუპა. ბატალიონში იყვნენ ლევან ახობაძე, სოსო ცირეკიძე, გადაკეთებული ავტომატები გვქონდა, გია მახნიაშვილი, თამაზ აბაიშვილი... ჩვენ, პატარა ბიჭებს ეს გამოცდილი ადამიანები გვეხმარებოდნენ, გვამხნევებდნენ. ჯონი ნადირაძე, შალვა გოგავა, გენო გეგეშიძე, ოთარ შანიძე, მიხეილ ბულკათი, ვანო მახარაძე... ინტელიგენცია, უფროსი თაობა გვერდით გვედგა და გვამხნევებდა აქციებზე, ისინი რომ არა, ძლიერები არ ვიქნებოდით სამტრედიელები ეროვნულ მოძრაობაში... გია მესხი ბავშვობიდან ჩვენთან იყო, შმაგი სიხარულიძეც... კირილე რევიშვილი და ლევან ფადავა დაგვეღუპნენ, ჩვენი ბატალიონის ბიჭები ყველა გაჭირვებაში ერთად ვიყავით.

_ აფხაზეთში ახლდით თანამებრძოლებს?

_ აფხაზეთში, ანაკლიაში გაშვების და ჩვენი ბიჭების შეკრების წინააღმდეგი იყო ზვიად ძიძიგური. მახსოვს, შეჭოჭმანდა, ეს გულანთებული ბიჭები რომ ჩავლენ ლოთისთან, რა იქნებაო... მერე გადაწყდა, წავედით ნაწილი, მალე მამა გამიხდა ავად და წამოვედი იქიდან, მერე მამა გარდაიცვალა. სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, ცხენისწყალთან ჩვენი თანამებრძოლები რომ იდგნენ, მათთან გადავედი. რომ გადმოვდიოდი, მიცვნეს და დამიჭირა საგზაო პოლიციამ. ერთმა მუშტი დამკრა, მერე კონდახი უნდა დაერტყა, მეორემ ხელი დაუხვევდრა, რას შვებიო... ასე გადავრჩი სიკვდილს. ამიყვანეს შტაბში, იქ იყო ჯაბას ხროვა, რა გინდოდა იქო, მკითხა ელგუჯა ბუცხრიკიძემ, ჩემს მეგობართან, ზვიად ძიძიგურთან ვიყავი-მეთქი, ვუპასუხე. 1 თვე ვიყავი “კაპეზეში”, იმხანად მილიციის უფროსი ზურა ნიკოლეიშვილი იყო, მას შემოჰყვნენ მხედრიონელები, იქ იყვნენ მძიმე დანაშაულში ბრალდებულები, ყაჩაღები და სხვა. ამის ხელში იარაღი არ დამინახავსო, უთხრა აწ განსვენებულმა ნიკოლეიშვილმა. ამას რად უნდა იარაღიო, ამას ენა აქვსო, უპასუხეს. ეტყობა, “მხედრიონს” ჩაგონა უფალმა, არ მოვეკალი, რომ ნდომებოდათ, წამში მომკლავდნენ, დიდი ფიგურა მე არ ვყოფილვარ, თქვენ ჭკუა ვერ ისწავლეთო, მითხრა ჯაბამ. იმხანად სამტრედიაში “მხედრიონი” მართავდა ვითარებას. პოლიციას ვინ ეკითხებოდა რამეს? ლანძღავდნენ ჩვენს ბიჭებს, დედაჩემი 2 კვირა ყოველდღე მაკითხავდა და არადა არ აჩვენეს ჩემი თავი. ერთი სიტყვით, მალე გამომიშვეს. კიდევ ერთ ისტორიას გავიხსენებ: დეკემბერში სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, ნაახალწლევს წალენჯიხის ჯგუფი გამატანეს მიტინგზე ქუთაისში, გვერდის ავლით შევედი ქალაქში, გაგვაჩერეს, ჯონი სტურუა იყო სამგზავრო ავტოსატრანსპორტო გაერთიანების დირექტორი, ის იჯდა საჭესთან, შემოცვივდნენ იარაღებით, ჯონის ვუთხარი, შენ იტყვი, რომ შოფერი ხარ-თქო, დაგვიჭირეს ქუთაისელებმა, მიგვაყენეს კედელზე, მახსოვს, რეზო ჩაკვეტაძე იყო ჯარის უფროსი, ამბობს “ბასკვანჩიას” დაუძახეთო, კოსტავას საზოგადოებიდან მახსოვდა ეს “ბასკვანჩია”, მანამდე დაუშვეს ავტომატის ჯერი ჩვენს შესაშინებლად. რომ მოვიდა, დამინახა, თქვა: ბიჭო, ჩვენ ერთი გვარის ხალხი ვართო და არ მოვკლავო... ის მერე აფხაზეთში დაიღუპა, აცხონოს ღმერთმა, წამიყვანეს “ტორპედოს” ბაზაზე, მოდიოდნენ ჩვენს შესამოწმებლად, შემოვიდა ერთი და თქვა: ეს ზვიად ძიძიგურის მარჯვენა ხელიაო, მცემა ამ ჩაკვეტაძის ხალხმა, ის თავიდან გამსახურდიას გვარდიის ხელმძღვანელი იყო, მერე განხეთქილება რომ მოხდა, კიტოვანთან გადავიდა. ერთხელ კიდევ მახსოვს, პირველად ტელევიზიიდან რომ ისროლეს ზარბაზნიდან, ყოფილი აგრომრეწვის შენობასთან ვიდექით, პურის ნატეხს ვჭამდით, ნაძვის ხეს მოხვდა, გადატყდა, იქვე ვიდექი, რა ძაღლის ბედი ქონია მანაგაძეს, ძაღლი მოკვდა და ეს გადარჩაო, ამბობდნენ ბიჭები. ძალიან ბევრი გაჭირვება უნახავთ ბიჭებს. ზვიადისტობის გამო მოუწიათ სამტრედიის დატოვება ვალერი მარტინოვს, თამაზ ესებუას... თამაზ აბაიშვილი იყო მაღალი რანგის ოფიცერი, უნიჭიერესი კაცი, თამაზ ესებუა გურია-იმერეთის პოლკის უფროსის მოადგილედ დაინიშნა, მაგათ ომი არ ეშლებაო, სამტრედიელებზე რომ თქვა ლოთი ქობალიამ, თავად მოვისმინე.... ომი მაინც ომია... დანაკარგიც გვქონდა, რაც უნდა პარადოქსად მოგეჩვენოთ, იმ გულანთებულ ბიჭებს ქონება არც ერთს არ შეუძენია, ფული არც ერთს არ გვიშოვია, ჯემალ შანიძემ დევნილობაში, რუსეთში თანხა რაც დაგროვა, აქ ჩამოვიდა და ეკლესიის მშენებლობას მოახმარა.

ლამაზ ღონისძიებაზე

ლევან გაბეჩავა

მიგვიწვიეს 25 ოქტომბერს მე-4 საჯარო სკოლის 1 პირველი კლასის მოსწავლეებმა და პედაგოგმა ნანა ჯღარკავამ, რომელსაც ბავშვებთან მუშაობის 13 წლიანი გამოცდილება აქვს.

"მოგზაურობა ანბანეთში", ასე ჰქვია ღონისძიებასო, გვითხრეს მასპინძლებმა.

ასო-ბგერებად გარდასახულან მოსწავლეები ამ დღისთვის სპეციალურად შეკერილი სამოსით.

დარბაზისაკენ გაუძღვა ნანა მასწავლებელი ბავშვებს, სტუმრებს, უცებ "წიწვოვან ტყეში" აღმოჩნდით, ჩიტების გალობაც საამოდ ისმოდა, აქ, ჯადოსნური სკივრიდან ასო-ბგერები უნდა ამოეღოთ მერე კი წიგნად ექციათ პატარებს, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ჯადოქარს გასაღები მოეპარა. ბევრი ეხვეწეს ბოროტ ჯადოქარს, მაინც მოულბეს გული და მან გასაღები უბოძა ბავშვებს.

მაშ ასე, ბოროტი ჯადოქარი კეთილად მოიქცა...

ნანა მასწავლებელმა სკივრი გახსნა, სათითაოდ ამოჰქონდათ ბავშვებს ასო-ბგერები და შესატყვის ლექსსაც ხალისიანად ამბობდნენ.

ღონისძიება ლამაზი სიმღერებითაც გალამაზდა.

ზღაპრის წიგნებით წაახალისა თითოეული მოსწავლე ნანა მასწავლებელმა და უთხრა, რომ როცა ანბანს შეისწავლიან ასობით წიგნი უნდა წაიკითხონ, რათა ფეხი აუწყონ ბობოქარ ცხოვრებას და ღირსეულ მოქალაქეებად, მამულიშვილებად აღიზარდონ.

უკვდავი "დედაენას" შემქმნელ იაკობ გოგებაშვილზეც მიაწოდა ბავშვებს ინფორმაცია პედაგოგმა და მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს, მშობლებს თანადგომისათვის, აქტიურობისათვის.

ლამაზი ღონისძიება ლამაზად დასრულდა, თუმცა, აშკარად თვალშისაცემი იყო ის გარემოება, რომ სკოლაში არავინ აღმოჩნდა ვინც ბავშვებსა და პედაგოგს გარჯას შეუფასებდა.

თვე-ნახევრის დაწყებულია მხოლოდ ახალი სასწავლო წელი.

ვიმედოვნებთ, ეს პატარები მომავალში უფრო დახვეწენ მეტყველების კულტურას, უფრო მოერგებიან სცენას და ცოდნით შეიარაღებულები ბოროტ ჯადოქარსაც დაამარცხებენ და როგორც იტყვიან კლდესაც გაარღვევენ.

ერთი კეთილი რჩევაც, კარგი იქნება, თუ ამ პირველკლასელების თაობას მაინც ვასწავლით დროის ფასს, ყადრს, ეს ღონისძიება დაანონსებულზე ძალზე გვიან დაიწყო.

წარმატებებს ვუსურვებთ მე-4 საჯარო სკოლის პირველკლასელებს, მათ პედაგოგს, ქალბატონ ნანა ჯღარკავას სამომავლოდ.

8 ნოემბერი ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეა!

სიბრძნე ილიასი

სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა...

სარწმუნოება სინდისის, სასოების საქმეა და აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი.

***

სხვაზე მინდობა ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში.

***



პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისაგანვე არის გამოსტყორცნილი.

***

უმეცრება და უვიცობა დიდი ჭირია და თუ მას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია.

***

დღეს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს ხელს უცრის, სწყლავს, ათახსირებს, გზა-კვალს ურევს და სულს ართმევს ჩვენი გულგრილობა, ჩვენი მომაკვდინებელი მოძღვრება თვითეულისა ცალკედ: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედ ნუ იქნებაო...

***

ქურდბაცაცობაზედ უარესნი არიან ისინი, ვინც იმოდენად ხელს იღებენ თავზედ, რომ ცილისწამებით, ხმების დაყრით მუდამ და იდუმალად უბღალავენ თავის მოპირისპირეს პატიოსნებას და ნამუსს.

რაკი ჯავრი ვისზედმე ჩაიდეს გულში, მაშინ ამათთვის მოსარიდებელი აღარა არის რა; კაცია თუ ქალია, არ მოერიდებიან, რომ ყოველგვარი ლაფი თავს გადაასხან და ერთსაც და მეორესაც სახელი გაუტეხონ, სახელი დაუმხონ.

***

ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა,

8 ნოემბერს 180 წელი სრულდება ილია ჭავჭავაძის _ წმინდა ილია მართლის დაბადებიდან (1837-1907 წ.წ.). 110 წელი შესრულდა აგვისტოში ილიას მუხანათური მკვლელობიდან.

მარად ჩვენი თანამედროვეა დიდი ერისკაცი და წმინდანი.

ლევან გაბეჩავა

ახალი ლექსები

ტირილიანი ქარი

ვიცი რაიც მკლავს და მაინც,
ვერ დავაღწიე თავი,
ფიქრის გორგალზე ნართაულ
თეთრზე მეტია შავი.

რაიც მაცოცხლებს ისიცა,
ვიცი და მერე რაი!
ვერ ჩამოვკრიფე ვარსკვლავი
ვეღარ შევკარი ძნაი.

შენ რომ ცელს უქნევ თავთუხებს,
იქვე ამღერდა ქნარი,
ჩამოგიქროლებს დროდადრო,
ტირილიანი ქარი.

***

მდინარე მოგუდულს
მღეროდა ჟამიერს,
და გადირბინა
ცხოვრებამ წამიერ,

მიცქერდა სიბნელე,
შავ-შავი თვალებით,
და გადადიოდა
ცხოვრება წვალებით.

ღამეა

ღამეა, ჩამესმის
ფეთქვა საათისა,
გამეფდა სიბნელე
მზედაუვალისა.

ცაზე მთვარე მნათობს,
მარტოა ეულად,
მიველ, მივეფერე,
ისე ჩემეულად.

დღე... ღამე... დღე... ღამე...
დუდუნებს საათი,
წუთი არსობისა
განცდაა დიადი.

დროს მიაქვს სიცოცხლე
ძვირფასი ყველაზე,
რა გზაა მთვარეო,
ჩამომსვი მიწაზე!

***

გარეთ ფიქრი დამრჩა
ღამის ანაბარა,
დედამ ჩემი თავი
ზეცას ჩააბარა.

ახლა სხვა დროა

ახლა სხვა დროა, ბატონო ჯანსულ!
ახლა სხვა დროა, ბატონო მუხრან!
გაუყდა მიწა, უპატრონოა,
რაც მამა-პაპათ უბარავთ, უხნავთ.

"ნუ გათათრდები! ნუ გათათრდები!" _
უხმობდნენ ქართველთ ერისკაცები,
და მაინც მაშინ ვიღაც გათათრდა,
ახლა გარუსდნენ ხელისკაცები.

თათარიც მიყვარს და მიყვარს რუსიც,
თავის მამულში მოჭირნახულე,
მაგრამ რა ვუთხრათ იმ შვილმკვდარ დედებს,
ქართველ ვაჟკაცებს იქ დამარხულებს.

იყო დიდგორი, იყო მარტყოფი,
კრწანისიც იყო, იყო შამქორი,
არ დაბრუნდება ქართული მიწა,
არ დაბრუნდება მტერთან ამბორით!

ჩამოწოლილა ღრუბელი შავი,
გარდუვალია დიდი ავდარი,
ამოზიდულა ტალღა უძირო
და ეხეთქება ქარი აშარი.

მაყვალა ჩირგაძე

პირველი ნაბიჯები კოსმოსისაკენ

1957 წლის 4 ოქტომბერს კოსმოსში იქნა გაშვებული დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი "სპუტნიკ 1".

1958 წლის 4 იანვრამდე ხელოვნურმა თანამგზავრმა 1400-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

თანამგზავრების გაშვება კოსმოდრომ ტიურა-ტამიდან განხორციელდა, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა "ბაიკონური".



დასავლეთისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირს სერიოზულ მეტოქედ აღიქვამდა რაკეტთმშენებლობაში, თანამგზავრის გაშვება დიდად მოულოდნელი იყო და თავსატეხიც გაუჩინა.

დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრი "სპუტნიკ 2" კოსმოსში 1957 წლის 3 ნოემბერს გაუშვეს, მის ბორტზე იმყოფებოდა ცოცხალი არსება _ ძაღლი ლაიკა.

ეს ორი ფაქტი უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო კოსმოსის ათვისების ისტორიაში და ამდენად, არავის გაჰკვირვებია, საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში რომ მოექცა ყოველივე.

დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი და შემდეგ პირველი ადამიანი კოსმოსში, საბჭოთა კოსმოსური პროგრამის ხელმძღვანელის, რაკეტულ-კოსმოსური სისტემების კონსტრუქტორის სერგეი კოროლიოვის მეცნიერული კვლევების წყალობით განხორციელდა, რის გამოც კოროლიოვის პიროვნება და საქმიანობა მის სიკვდილამდე მკაცრად იყო შენიღბული. მეცნიერი 1966 წელს არასწორად ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის შედეგად გარდაიცვალა.

110 წელი შესრულდა ამ დღეებში მეცნიერის დაბადებიდან, 60 წელი კოსმოსში პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებიდან.

ლევან გაბეჩავა

ვისაც ლიტერატურა უყვარს

პოეზიით ნასაზრდოები ექიმის სული

ნათია ნაცვლიშვილი

წიგნებზე ვსაუბრობთ ფტიზიატრ ნანა ჯანჯღალიასთან, ამ ქალბატონს შესანიშნავ პროფესიონალად და პიროვნებად მიიჩნევენ თანამოქალაქეები. იდეალურია, როცა პაციენტი ენდობა ექიმს, კიდევ მეტად ძვირფასია, თუ ჩვენი საყვარელი ექიმი წიგნიერია და სულიერებასთანაც არის ნაზიარები, მოვუსმინოთ შესანიშნავ ქალბატონს და ამაში თავადვე დავრწმუნდებით.

_ წიგნი მიყვარს, მაგრამ ბოლო ხანია, საკითხავად ვერ ვიცლი სამწუხაროდ. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე კარგი მკითხველი ვარ. განსაკუთრებულად მიყვარს პოეზია და ალბათ, ჩემი ცხოვრებისეული კრედო მუხრან მაჭავარიანის ამ შესანიშნავ ლექსია ჩატეული. "სხვისიც ყოფილა თუ ყოფილა ჩემს თავლზე ცრემლი, ვყოფილვარ სხვისი სიბრალულით მრავალჯერ ჩუმად, ყოვლადძლიერო, გახარება თუ გინდა ჩემი, უნარი სხვისი გახარების მიბოძე უმალ." ეს განცდა მაცოცხლებს, მახარებს, ჩემი ცხოვრების მიზანია, ვიცხოვრო სხვების გახარებისათვის, მოზღვავებული დადებითი ენერგია უნდა გასცე ადამიანმა, ესაა ჩემი სამოქმედო დევიზი.

_ **დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ?**

_ ჩემი მეუღლე მანქანათმშენებელი ინჟინერია, მან და ჩემმა მულმა საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა დამახვედრეს. დღესდღეობით იმდენად დატვირთულია ჩემი ცხოვრება, ვერ ვიცლი წასაკითხად. ვინატრებდი, დავმჯდარიყავი ჩუმად და წამეკითხა წიგნი.

_ **როდის იცლიდით უფრო წიგნისთვის?**

_ მოსწავლეობისა და აბიტურიენტობის პერიოდი მაძლევდა საშუალებას, მეკითხა ლიტერატურა და ამით მიმეღო სიამოვნება, სიყვარული, სტიმული. ვყოფილიყავი უფრო მობილიზებული, რომ უკეთესი საქმეები მეკეთებინა, განმესაზღვრა ჩემი როლი საზოგადოებაში.

_ **რატომღაც ექიმები განსაკუთრებულად განათლებული კასტა მგონია...**

_ გეთანხმებით, მაგრამ სხვა პროფესიების მიმართაც დიდი პატივისცემით ვარ განმსჭვალული, მასწავლებლით იწყება ჩვენი ცხოვრება. კითხვა რომ დავიწყე, ნაწარმოებში მოქმედებები და დიალოგები უფრო მომწონდა, ვიდრე ბუნების თუ ინტერიერის აღწერა, არ ვკითხულობდი ისე, უკეთ რომ აღმექვა და მეგრძნო. ცხონებულმა დედამ, მახსოვს, მითხრა, რომ ყველაფერი წამეკითხა. ჩემს გოგონას პუშკინის თუ ტურგენევის ლექსებს რომ ვასწავლიდი, მინდოდა, ქართულადაც ეგრძნო ის სილამაზე, რაც ლექსებში იყო გადმოცემული, ამას მშობლიურ ენაზეც მისწვდომოდა... არ დამავიწყდება, კითხვა სკოლაში შესვლამდე მქონდა ნასწავლი, პირველი სქელტანიანი წიგნი, რომელიც სკოლაში წავიკითხე, იყო ალექსანდრე ფადეევის "ახალგაზრდა გვარდია". და წავიკითხე იმ განცდებით, რითაც საბჭოთა ბავშვები გაგვზარდეს. სკოლის დირექტორმა დიმიტრი შენგელიამ შთაბეჭდილებების დაწერა მთხოვა, მეც დავწერე, შემდეგ მან ამ ჩემს ნამუშევარს მიაწერა: "თუ გინდა გახდე განათლებული ადამიანი და ერის საამაყო შვილი, უნდა შეიყვარო წიგნი, იგი ცოდნის წყაროა და ცოდნა წიგნის გარეშე არ არსებობს."

_ **რომელიმე ციტატა პროზაული ნაწარმოებიდან, რომელიც გიყვართ...**

_ ჩვენ გვიწევს ურთიერთობა უამრავ ადამიანთან, ჩემი ცხოვრების მანძილზე გამოვიცვალე უამრავი სამსახური. ძალიან ბევრი ნაცნობი მყავს, მიხარია, რომ ეს წლები საუკეთესო ადამიანთა გარემოცვაში ვარ. მახსენდება, ფრაზა "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან", გრიგოლ ხანძთელმა ტაო-კლარჯეთში ეკლესიის მშენებლობა რომ წამოიწყო, მის შესახებ ავტორი ამბობს, "მამაი გრიგოლ არავის უდებთაგანს შეიწყნარებდაო." ანუ ის, განსაკუთრებულ წესებს, მოთხოვნებს უყენებდა საძმოს წევრებს. ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ქცევებით შესატყვისნი გარემოსთან. ჩვენი ორგანიზაცია "ახალი გზა" არის შეკრული კოლექტივი, აქ ყველა ემორჩილება წესებსა და კანონებს, გაჭირვებაში გვერდით დგომა, ურთიერთპატივისცემა და სხვა ბევრი რამ, რაც უნდა ახასიათებდეს ადამიანს. ცხოვრება ადამიანებს უფრო ცუდისკენ უბიძგებს, მადლობელი ვარ, რომ არც ერთ ეტაპზე არ მიფიქრია არავისზე ცუდად. შვილს ვეუბნები ხოლმე:" შვილო, ბევრი უნამუსო შეგხვდება, მაგრამ შენ კეთილი საქმე აკეთე და კეთილად დაგბრუნდება-მეთქი".

_ **საყვარელი მწერლები დაგვასახელეთ...**

კონსტანტინე გამსახურდიას ვაღმერთებ, საოცარია მეფე გიორგის სიტყვები: "მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატნია." აქ კონსტანტინეს მთელი სიდიადე ჩანს, კლასიკა უკვდავია. არ ვიცი, ახლა რას ასწავლიან პედაგოგები, ჩვენი პედაგოგები გვაახლოვებდნენ წიგნთან, "ვეფხისტყაოსანი" თუ არ შეგაყვარეს, მას ცხოვრების მეგზურად როგორ გაიხდი? ძალიან მიყვარს შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი. ყოველთვის მახსოვს იორამ ქემერტელიძის ეს ლექსი: "გიყვარს ეს კაცი? მიყვარს და რა ვქნა, რატომ? უბრალოდ კარგი კაცია, მაშასადამე, შენს თვალში იმ კაცს ნამცეცი ნაკლიც არ გააჩნია. მე ნაკლს, თუ მიყვარს, არ ვეძებ კაცში, მართლა? ისე მე გავიხარო. და თუ არ გიყვარს? მაშინ? ხომ მაშინ, ვეძებ ღირსებებს, რომ შეიყვარო". როცა ვლოცულობ, ღმერთს ვთხოვ, სიკეთის კეთების ძალა მომცეს. საოცრად მიყვარს ნოდარ დუმბაძე, მისი სევდიანი იუმორი ადვილად გასაგები და მისაღებია ნებისმიერი განათლების ადამიანისათვის. "ადამიანი კედელზე დახატული ფრესკა არ არის, მას ისე უნდა უყურო, როგორც კულტურულ ნამუშევარს და ყოველი მხრიდან შემოუარო"-ო, ამბობს მწერალი. ჩემს ცხოვრებაში ყოფილა ჩხუბი, კამათი, მაგრამ უბრად არავისთან ვყოფილვარ.

_ **25 წელია ემსახურებით თქვენს საყვარელ საქმეს_ ტუბერკულოზისაგან ადამიანების განკურნებას. უამრავ ნაწარმოებშია შემოჭრილი ეს თემა: ლადო ასათიანის შესანიშნავი ლექსი გვახსენდება _ "ო, განვედ ჩემგან ძლიერო სენო". სულის შემძვრელია ტიციანის სტროფი მეუღლისადმი "ვერ ნახავ რაინდს, ჩემზე უფრო რომ უერთგულოს შენს წამებულ სულს, კოლომბინა, შენს ტუბერკულოზს"....**

_ თომას მანის "ჯადოსნურ მთაშიც" გაიჟღერა ამ თემამ და ბევრ სხვა წიგნში. ამ დაავადების ისტორია მაინტერესებს, წარსულში როგორ განიცდიდნენ ადამიანები, მათ შიში ჰქონდათ თუ რწმენა, რა აძლებინებდათ, როგორი იყო საზოგადოების აზრი, როგორ კურნავდნენ... სულის შემძვრელია მურმან ლებანიძის ლექსი "მთაში ირემი აყვირდა, ტირილი გაურია, შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია", ეს ლექსი ჭლექით დაავადებულმა პოეტმა აბასთუმანში ყოფნისას დაწერა, ის ჩემთვის ძალიან ფასეულია. მას ულამაზესი ლექსები აქვს.

_ **რომელიმე ცნობილი პიროვნების წარწერით გაქვთ წიგნი?**

_ ქალბატონმა გულიკო ჩაბრაძემ მისახსოვრა მისი შვილის, შესანიშნავი ახალგაზრდა პოეტისა და მოაზროვნის, ბაჩანა ჩაბრაძის პოეტური კრებული. პოეტი და მწერალი არასოდეს არის ცუდი სულისა, მაგრამ არ მომწონს უხამსობებს რომ წერენ, ბაჩანას ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ მისი პოეზიით მოვიხიბლე, ის ჭეშმარიტი პოეტია.

_ **შვილს შეაყვარეთ წიგნი?**

_ შეიძლება ითქვას, კი. პროფესიის არჩევაში დავეხმარე და არ ვნანობ. მახსოვს, პრაქტიკებზე რომ იყო სკოლაში, შაბათ-კვირას ისე მოენატრა ბავშვები, მითხრა: რა მართალია ნონეშვილი, "მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.-ო". ახლა თავადაც დედაა და ამ პროფესიას უფრო მეტად აფასებს.

სამტრედიელი ნორჩი ხელოვანები ევროპის ვარსკვლავურ გზაზე

ნინო ნანიტაშვილი

1-ლ ნოემბერს დაიწყება და 6 ნოემბრამდე გასტანს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ევროპის მე-13 საერთაშორისო მულტი ჟანრობრივი ფესტივალი-კონკურსი "ბროლის ვარსკვლავი".

საიუბილეო, 10 წელი უსრულდება მოძრაობა "ვარსკვლავურ გზას", სადაც ევროპის ყველა ქვეყნის ათასამდე მონაწილეა მიწვეული.

ამ დღეებში გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა ბეჟან გოგიამ მიწვევა მიიღო საერთაშორისო ფესტივალის პრეზიდენტისა და მსოფლიოს კულტურის კავშირის ვიცე-პრეზიდენტისაგან. ქალბატონ ოქსანა ვაშოვას პირადი მიწვევით ანსამბლი "იმედი" (ხელმძღვანელი ანა აბზიანიძე) და "ლადის" ორი სოლისტ-ინსტრუმენტალისტი რამაზ შენგელია (ვიოლინო) და დავით მამასახლისი (ფანდური) პრაღაში უნდა გამგზავრებულიყვნენ. ვინაიდან ფესტივალ-კონკურსის პირობები ითვალისწინებს, როგორც დასწრებულ, ასევე დაუსწრებელ მონაწილეობას, სამტრედიიდან საკონკურსო ნომრები ჩანაწერების სახით გაიგზავნა.

კონკურსის დასრულების შემდეგ ერთი კვირის ვადაში გამოვლინდებიან გამარჯვებულები. იმედს ვიტოვებთ, რომ სამტრედიელი ნორჩი ხელოვანები ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელს ევროპაში გაიტანენ.

ნინო ნანიტაშვილი

ესთეტიური სილამაზე ჯანმრთელობის პარალელურად

თეა ბაბუნაშვილი

პროვინციის სიმყუდროვის დიდი ქალაქის ხმაურით ჩანაცვლება სამტრედიაში, ვისთვის შორეული პერსპექტივა, ვისთვისაც საერთოდ საღიმილო თემაა. თუმცა, არსებობენ ადამიანები, რომ თვლიან, რატომაც არა, ერთ დროს ინდუსტრიის ცენტრი ნელ-ნელა კვლავ ინდუსტრიის მშენებლის ან სარკინიგზო კვანძის სტატუსს თუ ვერა, თანამედროვეობას ღირსეულად აუწყობსო ფეხს. არც უამისობა ყოფილა, მაგრამ არა მხოლოდ ბიზნესგათვლა ჰქონია სოფო ფახურიძეს გამაჯანსაღებელი ცენტრის გახსნა რომ განიზრახა. განზრახვა სისრულეში მოიყვანა. ფართი გამოუთავისუფლდა და მას ამჯერად სპორტული დატვირთვა მისცა. შესაბამისი და თანამედროვე სპორტული ინვენტარით აღჭურვილი გამაჯანსაღებელი ცენტრი მართლა საჩუქარი აღმოჩნდა სამტრედიელებისთვის.

ბოლო პერიოდში წონის კორექციის დაუოკებელ სურვილს ადევნებული არაერთი ქალბატონისთვის და ბატონისთვისაც, ეს ცენტრი ინტერესის უპირველესი ობიექტი ნელ-ნელა ხდება. "მსგავსი რამ სამტრედიისთვის სიახლეა. ტელევიზიით დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში ამგვარ ცენტრებზე რომ საუბრობდნენ, ან ქალბატონები აცხადებდნენ, რომ სპორტულ-გამაჯანსაღებელ დარბაზებში ვარჯიშით ფორმას ინარჩუნებენ, გული მწყდებოდა, მსგავსი შესაძლებლობა ჩვენს ქალაქში რომ არ გვქონდა. როგორც კი ფართის საშუალება გამომიჩნდა, გადავწყვიტე გამეხსნა ასეთი ცენტრი, მით უმეტეს, რომ ამ საქმის კარგი სპეციალისტი გვყავს სამტრედიაში ზვიად სტურუა. იგი კონსულტანტია ჩვენთან. თუმცა, ამ ცენტრის დანიშნულება მხოლოდ წონის კორექციით არ შემოიფარგლება. მანუალური თერაპევტი ზვიად სტურუა სხვა შესაბამის დაავადებებსაც მკურნალობს. გავითვალისწინეთ ისიც, რომ სურვილის მიუხედავად, მაღალი კი არა, საშუალო საფასურის გადახდაც გაუჭირდებოდათ მსურველებს და ფასიც მინიმალური დავაწესეთ, ერთი თვით კვირაში სამი დღე ერთსაათიანი ვარჯიში 50 ლარი ეღირება." _ ამბობს სოფო ფახურიძე და საშხაპეთი და სხვა საჭირო ატრიბუტიკით აღჭურვილ კეთილმოწყობილ "დარბაზს" გვათვალიერებინებს, სადაც ჰიგიენის ნორმები და ევროპული ყველა სტანდარტი დაცულია. საჭიროების მიხედვით დანიშნული ან გამაჯანსაღებელი მასაჟის ერთი სეანსის ფასი 15 ლარია.

თუმცა არა მხოლოდ წონის კორექციისთვის, ახლახან გახსნილი გამაჯანსაღებელი ცენტრი იწვევს ყველას, წონაში დაკლების, ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებისა და უბრალოდ, გაჯანსაღების სურვილით შეპყრობილებს. მანუალური თერაპევტი ზვიად სტურუა შესაბამის მკურნალობას სპორტული დატვირთვის გათვალისწინებით ატარებს. აღმოსავლური ორთაბრძოლების ინსტრუქტორს არაერთი შემთხვევა შეუძლია დაასახელოს, როცა შედეგი დადებითი გახლავთ. სანამ მისგან განკურნებულ პაციენტებს გავეცნობოდეთ, რამდენიმე შეკითხვა თავად მას დავუსვით.

სიმსუქნე 21-ე საუკუნის დაავადებად და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გამომწვევ მიზეზად უკვე აღიარებულია. მისით დაავადება გენეტიკის გარდა, არაერთი ფაქტორის გათვალისწინებით, დღეს ძალიან ადვილი, განკურნება კი რთულია. დიეტოლოგები კვებითი შეზღუდვების პარალელურად აქცენტს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ვარჯიშებსა და სხვა შესაბამის დატვირთვაზე აკეთებენ.

გახდა. რა იწვევს მის ხშირ დაავადებას და დაზიანებას?

_ ხერხემალზე პრობლემის წარმოქმნის ძალიან ბევრი პირობა არსებობს. მათ შორის ყველაზე ხშირი ნივთიერებათა ცვლის დარღვევაა. იქნებ ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ ნერვიულობა და არასწორი კვებაც იწვევს მის დაზიანებას. ცხოვრების არასწორი რეჟიმი, დატვირთვა და სიმძიმეების აწევა ხომ პირველი მახასიათებლებია და ხერხემლის დაავადებებს კიდევ უფრო ართულებს. ტრავმები ამწვავებს მდგომარეობას. ისეთი პათოლოგია, როგორიც ოსტეოქონდროზია, ბუნებრივია, არ არის ახალი, მას საზოგადოება მარილების დაგროვების სახელით უფრო იცნობს. დაავადების გამომწვევი უპირველესი სიმპტომი სწორედ ორგანიზმიდან იმ ნივთიერებების ვერ გამოდევნაა, რაც აუცილებლად უნდა გამოიდევნოს და არ დაგროვდეს მასში. ვარჯიშები უწყობს ხელს მის გამოდევნას, უფრო სწორად, ამ ნივთიერებების ორგანიზმში დახარჯვას. აქვე ისიც, რომ ეს ვარჯიშები გამიზნულად უნდა იყოს შერჩეული, დაავადებაზე გათვლილი, თორემ იქნებ უარყოფითი შედეგი მივიღოთ. დაავადების სიმპტომებზე ზემოქმედებით და შესაბამისი დატვირთვით პაციენტი რამდენადმე შვებას პოულობს.

სამედიცინო ენაზე ხერხემლის ოსტეოქონდროზის კლინიკური გამოვლინება ე.წ. ხერხემლის სვეტში დისტროფიული ცვლილებებია. პროცესი პირველ რიგში მოიცავს მალთა შორის დისკებს. ისინი დაძაბულობის გამქრობი ამორტიზატორის როლს ასრულებენ. ოსტეოქონდროზისას დისკები გაუწყლოვდება, ელასტირობას კარგავს და მოუხერხებელი, მკვეთრი მოძრაობის დროს შეიძლება ამოობურცოს, რის გამოც "ჩაიჭუჭყოს" მის გვერდით გამავალი ნერვები, ზურგის ტვინის ფესვები. ხერხემლის ოსტეოქონდროზი არცთუ იშვიათად იწვევს სისხლძარღვთა რეფლექსურ სინდრომს _ ხელების პარესთეზიას, არეკვლითი ხასიათის ისეთ ვისტელურ სინდრომებს, როგორიცაა პროექციული კარდიალგია, სხვადასხვა ორგანოების პათოლოგიის გართულებას.

_ მისგან სრულად განკურნება არ შეიძლება?

_ არა, ხერხემლის დაავადებებისგან სრულად განკურნება არ ხდება. ერთხელ დაზიანდება იგი, დაიწყება დისკოზური თუ სხვა პრობლემები და შემდეგ პროცესის სრულად აღდგენა არ ხდება, თუმცა, როგორც აღვნიშნე სწორი მკურნალობით და ვარჯიშებით შესაძლებელია მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

_ მარტივი ფორმულა არსებობს ამ რეჟიმის დაცვის?

_ არა! მით უმეტეს, დღევანდელი ცხოვრების დაძაბული რიტმის ფონზე. სადარდელი არაფერი არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, სიმძიმე არ უნდა აწიოს, ოდნავადაც არ უნდა დაიტვირთოს, ძალიან უნდა გაფრთხილდეს, თორემ შესაძლებელია, დიდი ხნის ნამკურნალევიც კი ერთი მოძრაობით ჩაიყაროს წყალში. დღეს კი პურის ფული რომ იშოვნონ ადამიანებმა, როგორ დატვირთვას არ იტანენ. განსაკუთრებით დისკოგენური პროცესი.

_ ხშირად მოგმართავენ ხერხემლის ჩივილებით და რამდენად დიდია დაავადებულთა პროცენტული მაჩვენებელი სამტრედიაში?

_ პროცენტულად ვერ გეტყვით, მაგრამ შეიძლება ითქვას, დაავადებულია ყოველი მეორე. აღვნიშნე კიდეც საუბრის დასაწყისში, რომ ხერხემლის პათოლოგიები მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დაავადებების ეპიცენტრშია.

_ რამდენი პროცედურა უნდა ჩაიტაროს პაციენტმა, რომ შვება იგრძნოს?

_ შვება მეორე მასაჟიდან შეიძლება იგრძნოს, მაგრამ, როგორც გითხარით, ძალიან მოსაფრთხილებელი პროცესია. 10-15 პროცედურა, ეს ყველაზე ცოტაა, რის შემდეგაც მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფიით უნდა შემოწმდეს შედეგი. საერთოდ, ამ დაავადების დიაგნოზი ამგვარი ტომოგრაფიით ისმება. ადამიანებს კონტროლისთვის კი არა, დიაგნოზის დასასმელად უჭირთ მისი გადაღება. 200 ლარზე მეტია გადაღების საფასური. საერთოდ დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში ხერხემლის სამკურნალო თითო პროცედურის ფასი 70-80 ლარს აღემატება. სამტრედიის სინამდვილეში წარმოუდგენელია ამხელა ფასის გადახდა. ამიტომ, ჩვენ თითო მასაჟში 15 ლარს ვახდევინებთ. ესეც ეძვირებათ და გარკვეულ დათმობებზე გვიწევს წასვლა.

_ როგორც ვიცი, თქვენ, აღმოსავლური ორთაბრძოლების ინსტრუქტორიც ბრძანდებით და აქედან გამომდინარე, მკურნალობის ჩინურ მეთოდსაც ფლობთ.

_ დიახ, ჩინური მეთოდითაც ვმკურნალობ. თუმცა, ჩინურ მეთოდში აუცილებელია კვებითი მითითებების დაცვა. ჩინელებს ყურადღება სწორად კვებაზე, ამა თუ იმ ნივთიერების მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით მიღებასა და ნატურალურ პროდუქტებზე აქვთ გადატანილი. ამიტომაცაა, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდია და ღრმა მოხუცებულობაშიც თავს კარგად გრძნობენ. წერტილოვანი მასაჟით მკურნალობა, რომელიც საგანგებოდ შევისწავლე და შესაბამისი სერთიფიკატიც მაქვს, ძალიან ეფექტური საშუალებაა ხერხემალზე ჩივილების ასალაგებლად.

_ თქვენი გამაჯანსაღებელი ცენტრი ის ადგილიცაა, სადაც თინეიჯერობის ასაკის ახალგაზრდებსა და ბავშვებს ხერხემლის გამრუდებასა და მზრებში მოხრის ჩივილებზეც შველიან ...

_ დიახ. შესაბამის მასაჟს ვაკეთებთ ხერხემალზე. ხერხემლის გამრუდების გამომწვევ საკითხებზე აღარ ვისაუბრებ, რადგან ამ ასაკში უამრავი ფაქტორი იწვევს მას. კომპლექსური მკურნალობით ეს პრობლემა ადვილად აღმოსაფხვრელია, მაგრამ ადრეულ პერიოდში.

_ კვებითი პრობლემები გასაგებია, მაგრამ არის თუ არა განმსაზღვრელი გამაჯანსაღებელი რეჟიმის დაცვა ჭარბწონიანობასთან ბრძოლისთვის?

_ ბუნებრივია. ჭარბწონიანობას უპირველესად ნივთიერებათა ცვლის არასწორი პროცესი განაპირობებს. ამ სისტემის მოწესრიგება პრობლემას სრულად ხსნის. ხშირად გაიგონებთ, ბევრს ჭამს, მაგრამ არ სუქდებაო, აი, მიზეზი ამისა და ეს უპირველესად ჯანმრთელობის საწინდარია. ზოგადად, ჭარბწონიანობა, პირველ რიგში, დაავადებაა და შემდეგ ესთეტიური სილამაზის განმსაზღვრელი.

გამაჯანსაღებელი სპორტული ცენტრი, რომლითაც სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება და არა მხოლოდ წონის კორექციისთვის, სამტრედიელების შესაძლებლობებზე მორგებული შეღავათიანი ფასებით უკვე ფუნქციონირებს და ევროპული სტანდარტების სრული დაცვით მსურველებს მათი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ელის. ესთეტიკური სილამაზე ჯანმრთელობის თანმდევი პროცესია და ამ ცენტრის სტუმრებისთვის არც ეს დარჩება პრობლემად.

მას არ უცხოვრია სამშობლოზე უკეთ

ნათია ნაცვლიშვილი

_ ბატონო თემურ, ტოლსტოის ქუჩა იუცხოვეს და თემურ ქორიძის ხსენების შემდეგ სწრაფად მომასწავლეს თქვენი სახლი. _ ვეუბნები წლების წინ ჩემს ერთ-ერთ საყვარელ რესპონდენტს, თემურ ქორიძეს. _ ეგ ძალიან ცუდია, ტოლსტოი რომ არ იციან სამტრედიაშიო, მიპასუხა. ჩვენი არაერთი საინტერესო ინტერვიუ სწორედ ამ ადგილას ჩაწერილა, ამ მოკრძალებულ სახლში. ლიტერატორი, კრიტიკოსი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, ძირითადად, საადგომოდ სტუმრობდა ხოლმე მშობლიურ სამტრედიას. აბა, შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდით, მისი ლექციური სახის საუბრები არ მოგვესმინა. არაერთხელ მინახავს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში უამრავი წიგნით მოსული, ერთხელ კიდეც გამიკვირდა, როგორ ზიდა იმდენი წიგნი. ''სამტრედიის მაცნესაც'' არაერთხელ სტუმრობდა. ჩვენი რედაქციის არქივმა შემოინახა რომან ბექაიას მიერ გადაღებული ფოტო, სადაც ელვარე ორატორი მეგაფონით ხელში ერთ-ერთ საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოდის, მის უკან კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ადგილობრივი ახალგაზრდა ლიდერები დგანან, რომლებიც მოგვიანებით მის პოლიტიკურ თანამებრძოლებად იქცნენ. რამდენჯერმე დედაქალაქშიც ვეწვიე საუკეთესო რესპონდენტს, გლდანში, სადაც ოთახში შესული გამაოცა მისმა პატარა ბინამ_ წიგნების სახელმწიფომ. შეიძლება მენტალურად ბოლომდე არ დასთანხმებოდი, მაგრამ ის იყო სიტყვიერების ნამდვილი დიდოსტატი, ბრწყინვალე და იდეალური ორატორი, ადამიანთმოყვარე, სიკეთით სავსე, ემოციით დატვირთული, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი გულშემატკივარი. ამიტომაც არ უცხოვრია სამშობლოზე უკეთ, მისი სიმდიდრე მისი ინტელექტი და ნიჭიერება იყო მხოლოდ. ახლა, პანაშვიდებზე მისი ბინიდან გამოსულ ყოფილ ჩინოსნებს უკვირთ, რა მოკრძალებულად უცხოვრიაო.

საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები ხელმოწერებს აგროვებენ და ითხოვენ, რომ თემურ ქორიძე დიდუბის პანთეონში დაიკრძალოს და სიკვდილის შემდეგ მაინც მოხდეს იმ ადამიანის დაფასება, რომლის ღვაწლიც ფასდაუდებელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღვივებაში, ქართული სახელმწიფოებრივი იდეისა და თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პუბლიცისტიკის განვითარებაში. თემურ ქორიძე იყო მეცნიერებისა და განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე უზენაეს საბჭოში. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მისი ხელმოწერაც ამშვენებს.

ზვიად გამსახურდიას დიდ მეგობარს ძალიან თბილად გამოეთხოვა პრეზიდენტის ვაჟი, კონსტანტინე გამსახურდია. ფეისბუქის გვერდზე ის წერს: ''უკანასკნელ ხანებში გაიელვა რამდენიმეჯერ, მეტადრე, ინგა გრიგოლიას ეთერში, აზროვანი, ვირტუოზული და იმავდროულად, ტკივილიანი გამოსვლით, რამაც 1990-1991 წლები გამახსენა, ასევე გარიჟრაჟი მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა, 70-იანი წლების მიწურულს, თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში, თემურ ნუცუბიძესთან, თამაზ ბაძაღუასთან, ლევან ბერძენიშვილთან ერთად. ''ადამიანი სიტყვა'' _ ვიფიქრე მაშინ.''

63 წელი ძალიან გვეცოტავება მისთვის, მაგრამ ასე ინება არსთაგამრიგემ, იგი ბოლო ხანებში გულით ავადმყოფობდა, სამუდამოდ დადუმდა მწერლის კალამი, შეწყდა ქვეყანაზე მოფიქრალ-მოდარდე კიდევ ერთის გულის ძგერა, თუმცა წიგნები, მისი წიგნები ისევ მიგვიხმობენ ეროვნული იდეებისაკენ, საქართველოს ერთგულებისა და სიყვარულისაკენ.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი, ღირსეული სამტრედიელი ბატონი

თემურ აპაკის ძე ქორიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თემურ ქორიძე!

63 წლის ასაკში გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი, ცნობილი ლიტერატორი, ჭეშმარიტად დიდი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე თემურ ქორიძე.

იგი ჩვენს ქალაქში დაიბადა და გაიზარდა. ტოლსტოის ქუჩაზე აიდგა ფეხი. მშობლებთან ერთად მისი ღვაწლმოსილი დეიდის, დამსახურებული პედაგოგის, ელენე კანდელაკის ფრთებქვეშ მიიღო დაწყებითი განათლება და ჩამოყალიბდა სრულფასოვან პიროვნებად. შემდეგ კი მთელი მისი ცხოვრების არსი იყო ბრძოლა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის.

ჩვენო თემურ! შენ არა მარტო ჩვენს ქუჩაზე, არამედ მთელ საქართველოში ყველას მეზობელი და მეგობარი იყავი.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს სასუფეველში შენს სპეტაკ სულს!

ჯუსამკიმრებით მის ოჯახს ტოლსტოისა და რევიშვილის ქუჩების მეზობლები.

როგორ ჩაეყარა საფუძველი საკრედიტო ბარათს?

საკრედიტო ბარათი წარმოადგენს პლასტიკურ ფირფიტას, რომლის მაგნიტურ ლენტაზე დატანილია მფლობელის მონაცემები და ასრულებს ბანკის მიერ გამოშვებული სახელობითი ფულადი დოკუმენტის ფუნქციებს. საკრედიტო ბარათის დაარსებას საფუძველი 1949 წელს ჩაუყარა ერთობ უხერხულმა სიტუაციამ. კერძოდ, საკრედიტო კომპანიის _ ''Hamilton Credit Corporation''-ის ხელმძღვანელმა _ ფრენკ მაკნამარამ, რომელმაც მეგობრებთან ერთად ნიუ-იორკში განთავსებულ ერთ-ერთ რესტორანში ივახშმა, აღმოაჩინა, რომ ის ნაღდი ფული, რომელიც მას ხელზე გააჩნდა, საკმარისი არ იყო რესტორნის ვალის დასაფარად. ამიტომ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი მაკნამარა იძულებული გახდა, საკუთარი მეუღლისათვის დაერეკა და იმ თანხის მიტანა ეთხოვა, რომელიც ვალის დასაფარად იყო საჭირო. სწორედ აღნიშნულმა სიტუაციამ შთააგონა ფრენკი, შეექმნა ისეთი უნივერსალური საკრედიტო ბარათი, რომელიც ნაღდი ფულის ნაცვლად სახელობითი ფულადი დოკუმენტის ფუნქციას შეასრულებდა. მალევე, 1950 წლის 28 იანვარს ფრენკ მაკნამარას კომპანიამ ხმარებაში ჩაუშვა პირველი პლასტიკური ბარათები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშა ქაღალდის ნიშნების (ბანკომატების), ანუ ნაღდი ფულის შეზღუდვაში.

Genia.ge.

ლომბარდის დაარსების ისტორიიდან...

ლომბარდი წარმოადგენს სპეციალიზებულ ორგანიზაციას, რომლის უმთავრესი საქმიანობა გახლავთ მოკლევადიანი სესხების გაცემა მოქალაქეთა მოძრავი ქონების (ძვირფასი ლითონები, ავტოტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო აპარატურა და სხვა) გირაოში ჩადების სანაცვლოდ. თუ როდის გაჩნდა პირველი ლომბარდი ისტორიაში, დღემდე დაუდგენელია. თუმცა ფაქტია, რომ ასეთი სახის ორგანიზაციები არსებობდა უძველეს ბაბილონსა და ეგვიპტეში. ძველ რომში კი არა მხოლოდ კერძო ლომბარდები არსებობდა, არამედ სახელმწიფო ლომბარდებიც წარმატებით ფუნქციონირებდა და შესაძლოა ითქვას, რომ რომის იმპერიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მთავარი კრედიტორი, სახელმწიფო იყო. ასეთივე სახის საკრედიტო დაწესებულებები ფუნქციონირებდა ძველ საბრძნეთშიც. დიდი ძველ ბერძენი ფილოსოფოსის _ დიოგენე სინოპელის ცნობის თანახმად, საკმაოდ წარმატებულად ეწეოდა ამ ბიზნესს ანტიკური ხანის გენიალური ფილოსოფოსის _ სოკრატე. XV საუკუნისათვის ლომბარდები მთელი ევროპის მასშტაბით იქნა გავრცელებული. იმავე საუკუნეში საფრანგეთში იტალიური რეგიონიდან _ ლომბარდიიდან (საიდანაც წარმოდგა კიდეც მისი სახელწოდება) ემიგრირებულმა მევახშეებმა მასობრივად დაიწყეს კრედიტების გაცემა პირადი ქონების გირაოს სანაცვლოდ. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ აღნიშნულ იდეას დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა ადგილობრივმა ეკლესიამაც. ცნობილია, რომ საფრანგეთში აღნიშნული კომერციული ორგანიზაციების უმთავრეს შემოქმედად და მხარდამჭერად ფრანგი სასულიერო პირი _ ბერანდე დე ტერნე (1439-1449 წლები) მიიჩნეოდა, რომელიც შემდგომში ბანკირებისა და ლომბარდების მფლობელების მფარველ წმინდანადაც იქნა აღიარებული (მისი ხსენების დღე _ 28 სექტემბერია). მას არა მხოლოდ საფრანგეთის ტერიტორიაზე გააჩნდა სალომბარდო დაწესებულებები, არამედ იტალიის რამდენიმე ქალაქშიც. გარდა საფრანგეთისა ლომბარდები ერთობ გავრცელებული იქნა იტალიაში, ესპანეთში, ნიდერლანდებსა და გერმანიაში. XVI საუკუნეში გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში გახსნილი იქნა პირველი მუნიციპალური ლომბარდი, რაც შემდგომ სხვა გერმანულ ქალაქებშიც გავრცელდა.

საყურადღებოა ის, რომ ლომბარდების მომსახურებით მხოლოდ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები არ სარგებლობდნენ: ისტორიული ფაქტია, რომ ესპანეთის დედოფალმა _ იზაბელა I კასტილიელმა თავისი სადედოფლო გვირგვინიც კი დაალომბარდა, რათა ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიცია დაეფინანსებინა. გარდა ამისა, ლომბარდების მომსახურებით ერთობ ხშირად სარგებლობდა პრუსიის მეფე _ ფრიდრიხ II დიდიც, რომელიც კრედიტით აღებული ფულით სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებს აფინანსებდა. XIX საუკუნეში რიგ ევროპულ ქალაქებში დაფუძნებული იქნა ეგრეთ წოდებული _ ''ფეხსაცმელების ლომბარდები'', რომლებითაც ძირითადად მუშები სარგებლობდნენ: ისინი ორშაბათობითა და პარასკევობით აღნიშნულ ლომბარდებში თავიანთ გამოსასვლელ ფეხსაცმელებს ერთი კვირის ვადით აგირავებდნენ. ერთ კვირაში კი ხელფასის აღებისთანავე უკანვე იბრუნებდნენ დალომბარდებულ ფეხსაცმელებს. XX საუკუნეში ლომბარდები კიდევ უფრო მასიურად გავრცელდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გაიზარდა იმ ნივთების რაოდენობაც, რომელთა დაგირავებაც გახდა შესაძლებელი. ავტომობილების პირველი ლომბარდი აშშ-ი გაიხსნა. მოგვიანებით, ავტომობილების გირაოდ ჩადების სანაცვლოდ სესხის გაცემა ევროპაში მოქმედმა ლომბარდებმაც დაიწყეს. დღესდღეობით, ლომბარდები მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ფუნქციონირებს.

Genia.ge.

ახ გივინყებთ...

შენს ავადმყოფობას მიუჩვევლებს გვეგონა დაძლევდი, მაგრამ...

6 თვე გავიდა იმ დღიდან, საოცრად დამწუხრებული რომ შემოვიდა "სამტრედიის მაცნეს" დირექტორი ბეჟან გოგია და საოცრად სამწუხარო ამბავი გვამცნო, ცისანა გარდაიცვალა...

...

უჩვეულო თითქოს არაფერი მომხდარა, პატრუქივით ბოლომდე დაიღვენთე შენს საყვარელ სამსახურში, მეორე ოჯახში. ძალიან გვაკლიხარ, გიხსენებთ და თითქოს შენს სიყვარულში იმით ვეჯიბრებით ერთმანეთს, ვინ მეტს მოიგონებს შენზე, იმ არცთუ შორეულ წარსულზე, ერთად რომ ვიყავით.

6 თვე გავიდა შენი გარდაცვალებიდან ჩვენო ცისანა დეიდა. 6 თვის უკან უკანასკნელად გაიხურე რედაქციის კარი და აქ დარჩენილებს განუზომელი სითბო და სიყვარული დაგვიტოვე.

ნათელში იყავი!

ლევან გაბეჩავა



ხსოვნა ამირან მსხილაძე

ყველა სოფელს, სკოლას საკუთარი ლამაზი ისტორია აქვს.

წლების მანძილზე მხარდამხარ, მეგობრულად შრომობდნენ და სწავლობდნენ კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლაში ქართველი და ებრაელი პედაგოგები, მოსწავლეები.

თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა ამ სკოლაში ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, იაკობ გოგებაშვილის მედლის კავალერმა, ბატონმა ამირან მსხილაძემ.

თავს უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევ, რამეთუ სკოლაში მაშინ მოძიწია სწავლა, როცა აქ თავის საქმესა და ახალგაზრდებზე თავდავიწყებით შეყვარებული პედაგოგები მოღვაწეობდნენ: აკაკი ჯამბურია (დირექტორი), მიხეილ კრავეიშვილი, მიხეილ ნიკურაძე, აკაკი ხუჭუა, ალიკო კაჭარავა, გიორგი სტურუა, ლილი მელქაძე, ქეთევან კვანტალიანი, რუსუდან, ლენა სტურუები...

მათ შორის იყო ბატონი ამირან მსხილაძე, რომელიც რუსულ ენას ასწავლიდა.

საზოგადოებრივად აქტიური, მოწესრიგებული, პუნქტუალური პიროვნება გახლდათ იგი, არცთუ იშვიათად ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში აქვეყნებდა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ხასიათის წერილებს. მეხსიერებას შემორჩა კულაშის სკოლაში მოწაფეობისდროინდელი ლამაზი მოგონებები და ჩვენთვის მზრუნველი ამირან მასწავლებელი, რომელსაც ამ წერილის ავტორთან არც შემდეგ გაუწყვეტია ურთიერთობა.

მხოლოდ სალმით არ იწყებოდა და მთავრდებოდა ჩვენი, თუნდაც, მოულოდნელი შეხვედრა. უკვე ჭარმაგმა, 80 წელს მიტანებულმა ჩემთან ერთ-ერთ საუბარში მისი პირველი მასწავლებელი ლექსო თუთაშვილი გაიხსენა საოცარი სითბოთი და სიყვარულით. აქედანაც ნათლად ჩანს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა იგი მოსწავლისა და მასწავლებლის დამოკიდებულებას.

არავინ შერჩენია სამარადჟამოდ წუთისოფელს.

კოლეგებმა, აღზრდილებმა, ახლობლებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს მრავალი თაობის აღმზრდელი პედაგოგი, საოცრად სიმბოლურად იმ დღეს რომ აღესრულა, როცა ქართველი პედაგოგები პროფესიული დღეს აღნიშნავდნენ.

სამარადისო ხსოვნა იქნება თქვენდამი ჩემი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულება ამირან მასწავლებელო!

ნათელში იყავით!

ლევან გაბეჩავა

ვალერი ახობაძის გახსენება

ორი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან ჩვენო დიდო ტკივილო, ჩვენო ვალერი.

მძიმეა, ძალზე მძიმე უშენობა. გვაკლიხარ, გვიყვარხარ, გვენატრები.

ნათელში გამყოფოს უფალმა!

ოჯახი

მაყვალა ქიბრაშვილი და ირინა ჩიჯავაძე

მზესავით ნათელო, თბილო და ტკბილო, უმშვენიერესო ქალბატონებო _ ჩვენო მაყვალა და ირინა! ბარაქიან შემოდგომას თქვენი დაბადების დღეებიც თან მოჰყვა. უთქვენოდ ვხვდებით მას თქვენი მეგობრები, კვლავ გაგიხსენებთ და მოგეფერებით. გვიმძიმს თქვენს გარეშე ყოფნა, დიდია მონატრება... უთქვენობის სიცარიელე დრომ ვერ შეავსო, სიყვარული ვერ გაანელა. გჯეროდეთ, არასოდეს დაგივიწყებთ!

მეგობრების სახელით მარინა სანაძე

ახლა ახლოს ხარ ღმერთთან

ნოდარ გურიელიძის გახსენება

40 დღე შენი მონატრების ცრემლმა ჩამოფურცლა. ახლა ახლოს ხარ ღმერთთან. ვიცი, ისევ ავედრებ უფალს შენი დიდი ოჯახის კეთილდღეობას. აქ ჩვენ გვასწავლე, პირნათელი ვიყოთ უფალთან. გვასწავლე სიკეთე ვთესოთ და კაცთმოყვარეობით ვზიდოთ ცხოვრების უღელი. ისეთი ლაღი იყავი მამა, ისეთი კეთილი და ნათელი, როგორც შენი საყვარელი "მრავალჟამიერი". მღეროდი ყველგან, სახლში თუ გარეთ და ქართული ჰანგით ადიდებდი შენს სოფელსა და ქვეყანას. გვეამაყებოდი მამა, საზოგადოება გიცნობდა პატიოსანს, ალალ-მართალს, განათლებულს და მშრომელს. წლები შეალიე ვაზისუბნის კოლმეურნეობას, როგორც სწავლულმა აგრონომმა. შენი ლამაზი ხმა დიდხანს ისმოდა რაიონის მამაკაცთა ფოლკლორულ ანსამბლში. არაერთ საზოგადოებრივ დატვირთვას ყოველთვის პირნათლად ასრულებდი. ამიტომაც პატივს გცემდა რაიონის ხელმძღვანელობა.



საოცარი სანახავია ჩვენი ეზო, რომლის შემოქმედიც შენ ხარ. სილამაზე სულში გქონდა. შენში მის დატევას ვერ ახერხებდი და საოცარ იდეებად აფრქვევდი შენს ეზო-კარში. ამიტომ ვინ არ სტუმრებია ჩვენს ოჯახს შენეული ფანტაზიით მორთულს. "შავი ჩოხა გიხდებოდა შავლეგო" _ არა მხოლოდ მღეროდი ამ სიმღერას, სამშობლოსთვის მებრძოლი შავლეგოსავით ეტრფოდი შენი ქვეყნის ძლიერებას, მუხლჩაუხრელი შრომით და საქმისადმი ერთგულებით გმირობდი.

გიცნობდნენ სამტრედიაში, გიცნობდნენ შენს მშობლიურ ვაზისუბანში.

ბევრს გვავალებს შენი შვილობა, გვავალებს შენი სახელი, არ შევარცხვინოთ, ქვაზე დადებულ მადლს კიდევ ბევრი უანგაროდ დავამატოთ. სამი შვილი გაიზარდა შენს მადლიან ოჯახში. მერე გავმრავლდით და იმ დიდი ფუძის მთავარი მასპინძელი ბოლო ამოსუნთქვამდე შენ იყავი მამა.

თავად იმედიანი ჩვენც გვასწავლიდი, არა მხოლოდ სხვისი, საკუთარი თავის იმედიც თავად ვყოფილიყავით.

მჯერა, ახლა ახლოს ხარ ღმერთთან. ჩვენ აქ, მიწაზე შენი სახელის არდასავიწყებლად დარჩენილები შენეული შეგონებებით, ღირსებებით, სიკეთითა და სიყვარულით გავაგრძელებთ ცხოვრებას შენი სახელის არშესარცხვენად.

გვეამაყებოდი მამა. ახლაც გვეამაყები და ვეცდებით დაგემსგავსოთ, შენეული ცხოვრების წესით ვიცხოვროთ, რადგან ოჯახური ტრადიციების გაგრძელება შენ და დედამ გვასწავლეთ და ეს ისევე უპირველესია ჩვენთვის, როგორც შენთვის იყო.

ასაკი არაფერს ცვლის მშობლის გარდაცვალებისას. ახლაც ისე მენატრები, როგორც პატარა გოგოს. შენი ნუგეში დამამშვიდებდა მამა და რადგან ღმერთთან ხარ, ჩემს გულწრფელ ცრემლებს საგზლად გატან მამის უბიდან გამოყოლილი სითბოს არდავიწყებით.

ვეფლი მაია გურიელიძე

ვინ გამოიგონა სუფრის დანა?

საფრანგეთის ლეგენდად ქცეული სახელმწიფო მოღვაწე _ არმან ჟან დიუ პლესი რიშელიე (1585-1642 წლები), იგივე _ კარდინალი რიშელიე, ერთობ ფრთხილი ადამიანი გახლდათ. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საკუთარ უსაფრთხოებას და იმისათვის, რომ მისი სიცოცხლე არ ხელეყოთ, მრავალი მეთოდი შეიმუშავა თავდაცვისათვის. საყურადღებოა ის გარემოება, რომ რიშელიეს მიერ შემუშავებულმა ერთ-ერთმა უსაფრთხოების მეთოდმა აბსოლუტურად უნებლიედ დაუდო სათავე ისეთი საჭირო ნივთის გამოგონებას, როგორიცაა სუფრის დანა. საფრანგეთის ფაქტობრივი მმართველი, საკუთარი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, იმ ქვეშევრდომებსა და სტუმრებს, რომელთაც კარდინალთან ერთად უხდებოდათ ვახშმობა, კატეგორიულად უკრძალავდა მაგიდაზე განთავსებული ხორცის დასაჭრელად ბასრი წვერის მქონე პირადი სატევრების გამოყენებას (როგორც ეს იმ პერიოდში იყო მიღებული). შემწვარი თუ მოხარშული ხორცის სატევრის გარეშე დაჭრა დიდ დისკომფორტს უქმნიდა კარდინალის თანამესუფრეებს, რის გამოც მან ალტერნატიული გადაწყვეტილება მიიღო: რიშელიემ გასცა ბრძანება, რომლის თანახმადაც მსახურები ვალდებულები ხდებოდნენ, სუფრებზე გამოეტანათ ისეთი დანები, რომელთა წვერიც სპეციალურად იქნებოდა ქლიბით დამუშავებული და შესაბამისად, _ დაბლაგვებული. დაბლაგვებული წვერის მქონე დანა ბრძოლაში გამოუსადეგარი იყო, თუმცა კი შეუცვლელი საშუალება იყო სუფრაზე განთავსებული ხორცის დასაჭრელად. თავის მხრივ კარდინალის გამოგონებულმა სუფრის დანებმა ფართო გავრცელება ჰპოვა XVI საუკუნის საფრანგეთის სამეფო კარზე.

Genia.ge.

გილოცავთ!

სასურველი და სასიამოვნო სტუმარი, ერთგული მეგობარი, ქალაქის შემოქმედებითი და ყოფითი სუნთქვით გაჯერებული, მშვიდი და გაწონასწორებული გაზეთი "სამტრედიის მაცნე" იუბილარია.

ვულოცავთ გაზეთს და მის შემოქმედებით ჯგუფს საიუბილეო თარიღს. მათი დამსახურებაა ის ნათელი ფანჯარა, რომლიდანაც ცქერა მე არასოდეს მომწყინდება.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

პატივისცემით მაჟვალა ჩიჩგაძე

სამტრედიელი კარატისტი გოგონები კვლავ იმარჯვებენ

27-28 ოქტომბერს სომხეთის ქალაქ ერევანში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში, სადაც მონაწილეობა მიიღო სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტსკოლის კარატეს ჯგუფის წევრებმა მარიამ გოგიტაურმა და მანანა მუქერიამ. წარმატებით იასპარეზეს სამტრედიელმა გოგონებმა. ფინალური ორთაბრძოლა მათ შორის გაიმართა.

ჩემპიონის წოდება და პირველი ადგილი დაიკავა მარიამ გოგიტაურმა. მეორე საპრიზო ადგილზე მანანა მუქერია გავიდა.

ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ მედლებით, სერტიფიკატებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით. ჩემპიონატს აგრეთვე ესწრებოდნენ საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები სომხეთში, რომლებმაც გამარჯვება მიულოცეს ჩვენს კარატისტებს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენმა გოგონებმა სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღება და მოწონება დაიმსახურეს.

სერგო მიხეილ ქანთარია

არჩევნებში გამარჯვების
დიდი მქონდა იმედი,
დახმარება ვინც კი მთხოვა,
სულყველასთან მივედი.

მერი ნაღდად გახდებიო _
მარწმუნებდა მე შალვა,
არაფერში შემცდარა
და ეს როგორ შეეშალა?!

ვულოცავთ!

სს "საქართველოს რკინიგზას" დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია დაბადების დღეს _ 50 წლის იუბილეს ულოცავს ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილეს, უკეთილშობილეს ადამიანს და ბრწყინვალე მეგობარს

მალხაზ გოგიშვილს

და უსურვებს ყველაფერს საუკეთესოს!

აპა-რა-ტურა

სოფელ ნოღაში დაგვიდგეს, "ხარჯთ ჩარიცხვების კარადა",
არადა საშედავათოდ, სჯობს არ მეხილა თვალადა!
ვვერ გამომადგა სარგებლად, ჰხმარებად დღეს თუ ხვალადა
და უმიზეზოდ ჯარიმა, "შემომეტანა" ძალადა.
მწირეა საცხოვრებელად, ოდითგან, მთისა სოფლები,
მუდამ ჰყვნენ ღარიბები, და მთავრობით მუდამ ობლები,
ახლად უარესი ეწვიათ, დაეპატრონნენ "ბობლები",
ქონებით განებივრებულთ, აგრემსც "აუჰყვა ბორბლები".

ანზორ ზვანება

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა